თეთრი

ძაფით

ნაკერი

შავი საქმე

ესსე ვახო სალიასგან

თეთრი ძაფით ნაკერი შავი საქმე

თბილისი, 2012, პირველი გამოცემა

პროექტის თანაავტორი და რედაქტორი

ქეთი კობიაშვილი

ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალისა

ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი

ავტორის მოსაზრებები და კიდევ რაღაც ... სწორედ ასე განიმარტება გასაგებ ენაზე ლიტერატურული ჟანრი ესსე

ესსეში გამოყენებულია: საქართველოს შსს-ს უშიშროების არქივის მასალები, ნ. ა. ბიგაევის მოგონებები, ა. ვ. ოსტროვსკის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები ...

ISBN 978-9941-0-4995-8

© ვახო სალია, ქეთი კობიაშვილი

1942 წლის 16 ივლისი

თბილისი

საქართველოს სსრ, სსრ კავშირი

დილის ოთხი საათი ხდებოდა.

ძალიან ცხელოდა.

ორი რუხკიტელიანი მამაკაცი ორთაჭალაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგა; სახე დინების თანმხვედრი ნიავისთვის მიეშვირათ და შიგადაშიგ მარცხნივ, გზისკენ აპარებდნენ თვალს.

მანქანას ელოდებოდნენ.

ერთი მათგანი მეორეზე მთელი თავით მაღალი იყო.

- ეჰ, ჩემო თომა! სულ ტყუილად ღელავ. აგერ, შენი თვალით ნახავ და დარწმუნდები, რა ადვილია ყველაფერი. _ დაამშვიდა მაღალმა დაბალი.

- რა ვიცი, მე კი მეშინია.

- რა გჭირს, შეკაიდედმამისშვილო?! ვისაც მართლა უნდა ეშინოდეს, ისინიც კი

ვაჟკაცურად მოიქცევიან. არადა აგერ ნახავ, რამდენიმე წუთში.

- რა ვიცი, პირველად ვარ ასეთ საქმეზე.

- მართალი გითხრა, არ მჯერა, მაგრამ ისეთმა კაცმა მასწავლა, მის ნათქვამს წყალი არ გაუვა. ამაღამ მეც პირველად უნდა ვცადო და ერთად ვნახოთ, რა გამოვა.

- აბა, ესაო და ისაო, ჩემნაირი გამოცდილება ბარე ორს არა აქვსო?

- გამოცდილება _ იცოცხლე, მაგრამ მაყუჩის გარეშე უხმოდ ნაგანის გასროლა ჯერ არ მიცდია.

- დამცინი ხომ? მნახე არიფი და მამასხარავებ?

- არა, თომა, არ გატყუებ. ეგ ხერხი ერთმა ძველმა ციმბირელმა ამხანაგმა მასწავლა; ფრონტზე დაჭრილა და ახლა ავლაბარში ჰოსპიტალში წევს.

- ვის გაუგია მაყუჩის გარეშე უხმო გასროლა?

- აგერ ნახავ! ე, შეხედე ფარების შუქი გამოჩნდა; მოდიან, მოყავთ! ვი-სია?.. ვი-სია?.. ქა-ლი ლა-მაზი... _ წაიღიღინა მაღალმა, ტაში შემოჰკრა, ხელისგულები დაიზილა და თითები გაატკაცუნა.

შორს ძაღლების ყეფა გაისმა, რამდენიმე წამში კი ახლომახლო ჩაბუდებულმა მაწანწალებმა წამოყვეს თავი და მოძმეებს ბანი მისცეს.

პურის მანქანა, მოუახლოვდათ თუ არა, გაჩერდა; ძრავი და შუქები არ გამოურთია; უკან სვლით მარცხნივ მოუხვია, მერე ისევ წინ დაიძრა, კვლავ უკან და ისვე წინ მოძრაობით საპირისპირო მიმართულებით შეტრიალდა.

კაბინიდან თეთრ გიმნასტურში ჩაცმული კაცი გადმოვიდა; საყელოს ლეიტენანტის ორკუბიანი ლურჯი დანაკერები უმშვენებდა, გვერდზე ტყავის პლანშეტი ეკიდა; დინჯად წამოვიდა, რკინის სახელური უკანა კარს მოარგო, გამოაღო.

მანქანიდან ჯარისკაცი ჩამოხტა და მომყოლ ხელებშეკრულ ხანშიშესულ ადამიანს გადმოსვლაში დაეხმარა; ბოლოს კიდევ ერთმა გუშაგმა ისკუპა.

- ჩაიბარეთ! _ განაცხადა ოფიცერმა.

- სულ ეგ არის? ამ ერთი კაცისთვის მოგვაცდინეთ, ამხანაგო ლეიტენანტო? ჩვენ კიდევ სამის ფოტოები გადმოგვცეს.

- ხმა ჩაიგდე და შენ საქმეს მიხედე! _ გაბრაზდა ოფიცერი.

- არის, ხმა ჩავიწყვიტო და საქმეს მივხედო. _ სხარტად უპასუხა უფროსს და ჭაღარა, ხმელი სახის მოხუცს მიუახლოვდა. _ რაო, პატივცემულო, ხომ არ გეშინია?

- არა, არ მეშინიან. _ იყო სრულიად გულგრილი პასუხი.

- გამოცდილი კაცი ჩანხარ. ჩვენთან ხომ არ გიმუშავია?

- გამოცდილი ვარ. _ კვლავ უემოციო იყო ჭაღარა.

- თომა! მოდი, კაცო, ახლოს. კი არავინ შეგჭამს. ფოტოები და სანათი მომიტანე; უნდა შევადარო.

მაღალმა ერთი ფოტოსურათი ამოარჩია, მარჯვენა ხელში დაიჭირა, მარცხენით ფარანი მოხუცს სახეზე მიანათა.

მსგავსება თვალშისაცემი იყო.

პორტრეტი და ფარანი თომას დაუბრუნა; მოხუცს მკლავში წვდა და გვერდზე გაიყვანა.

ახლა მთავარი კაცი მაღალი გახდა; საქმე მას უნდა გაეკეთებინა.

დანარჩენები თავის რიგს ელოდნენ.

- აი, აქ დადექი. კარგია; ყოჩაღ. _ გაამხნევა მაღალმა ჭაღარა მოხუცი. ხელი გალიფეს მარჯვენა ჯიბეში ჩააცურა, რამდენიმე წამს იქექებოდა და ერთმანეთზე დატყუპებული პაპიროსის და ასანთის კოლოფები ამოიღო. _ ჰა, არც ახლა შეგეშინდა?

- არა. _ ნერვი არ შეტოკებია ჭაღარას.

მაღალმა პაპიროსი ტუჩებში გაირჭო, ასანთს გაჰკრა და მოუკიდა. ერთი ნაფაზი გემრიალად დაარტყა, ბოლი ზემოთ გაუშვა. კოლოფები ჯიბეში ჩაიცურა. მარცხენა ხელით პაპიროსი პირიდან გამოიღო და მოხუცს ტუჩებთან მიუტანა.

- აჰა, ფრთხილად და გამოზოგვით მოწიე. სანამ თამბაქო ბოლომდე არ დაიწვება, შენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

- ვიცი. _ მოხუცი კვლავ მშვიდად იყო.

- ეგრე არა! რა ქალივით ინაზები, პირი დიდზე დააღე. ხომ ხედავ, ბნელა; პაპიროსს ვერ გიმიზნებ.

მოხუცმა პირი გააღო. ახლა მისთვის ბოლო პაპიროსის მოწევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს პროცედურა მთელი დარჩენილი ცხოვრება იყო.

მაღალმა მარჯვენა ხელის სწრაფი მოძრაობით გულის ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ჭაღარას პირში ჩასთხარა და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

მოხუცი უკან გადავარდა; იგი მიწაზე უსულოდ დაეცა.

სეირის მაყურებლები ვერც მიხვდნენ, რომ ყველაფერი დამთავრდა.

დიდი ოსტატი ყოფილა ციმბირელი ამხანაგი; ნაგანი მართლაც ჩუმად გავარდა.

მაყუჩის ფუნქცია ადამიანის პირის ღრუმ და ტვინმა შეასრულა.

ჯალათს მხოლოდ თბილი სისხლის შხეფები შეესხა ხელზე.

- თომა, გაადაბრუნე და კეფაში ესროლე. _ მაღალმა იცოდა, რომ კიდევ რამდენიმე წამი ის იყო აქ მყოფთა შორის უფროსი და რიხით უბრძანა ახალბედა თანაშემწეს.

პისტოლეტ ტეტეს ხმა ყველამ მკაფიოდ გაიგონა.

- ეს რა ჰქენი, კაცო? ახლა ოქმი თავიდან უნდა დავწერო. _ უკმაყოფილება არ დაუმალავს ოფიცერს.

- თავიდან რატომ, ამხანაგო ლეიტენანტო?

- რატომ და, ამ დასაქცევში წერია, რომ ორივე ტყვია კეფაშია ნასროლი, შენ კიდევ ერთი პირში ესროლე! _ აბუზღუნდა ოფიცერი.

- კაი ერთი, მაგას ვინ უყურებს? კეფა, პირი, რა განსხვავებაა? _ დაამშვიდა მაღალმა.

- აპ-აპ-აპ! წესი წესია! ახლავე გადავწერ. შენ წაიკუზე. _ მიუბრუდნა ჯარისკაცს. _ შენ კიდევ ფარანი მომინათე. _ უბრძანა თედოს.

ჯარისკაცი წელში მოიხარა, ლეიტენანტმა ზურგზე ფურცელდაკრული პლანშეტი დაადო და ოქმის წერას შეუდგა; თან ხმამაღლა დამარცვლით ლაპარაკობდა:

- ჩვენ, ქვემორეხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ სიკვდილმისჯილი გიორგი (გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი დახვრეტილია ორი გასროლით; ერთი ტყვია მოხვდა პირში, მეორე _ კეფაში ...

ტყუილად ირჯებოდა ორკუბიანი ოფიცერი.

ოქმში სერიოზული შეცდომა გაიპარა. იქ სიტყვა "სიკვდილმისჯილი" არ უნდა ყოფილიყო.

1942 წლის 16 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით შრომაგასწორების კოლონიაში მოხდით.

მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, შეწყალების დადგენილება თბილისში გვიან ჩამოვიდა, აქ საბუთებში კი ჩააკერეს, მაგრამ შინაარსისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

შეუსაბამობა ბერბიჭაშვილის საქმეში დახვრეტის ოქმის ჩაკვრის დროს მორიგე ოფიცერმა შეამჩნია და უფროსს აცნობა.

რაც მოხდა, მოხდა.

აიღეს და ახალი ოქმი გააშანშალეს. იქ ჩაიწერა, რომ გიორგი(გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი 1942 წლის 16 ივლისს ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ორკუბიანი ლეიტენანტის ნაცოდვილარი დაწვეს და შინსახკომის რეესტრში ახალი ოქმი გაატარეს.

ასეა თუ ისე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო სიკვდილმისჯილთა შორის გიგოლა ბერბიჭაშვილი იყო უკანასკნელი.

მისი წინამორბედები: თედო ლაბაური, გიორგი ხიზანიშვილი და ივანე ინაშვილი 1909 წლის 21 აგვისტოს რიგრიგობით აიყვანეს ეშაფოტზე და ჩამოახრჩვეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას ამათ გარდა სხვა ეჭვმიტანილებიც ჰყავდა, მათ შორის იყო რამდენიმე ადამიანი, რომელთა სახელები საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა.

ისინი საიდუმლო ეჭვმიტანილები იყვნენ.

1907 წლის 30 აგვისტო

წიწამური

დუშეთის მაზრა, რუსეთის იმპერია

კოფოზე მეეტლე თედო ლაბაურის გვერდით ლაქია იაკოფა ბითარაშვილი იჯდა; ხელში თოფი ეჭირა, უბეში რევოლვერი ედო და შიგდაშიგ სიამაყით ათვალიერებდა ახალთახალ ჩექმებს;

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო?! ორიოდე დღის წინ ამ პრიალა აზიაცკებში სიმწრით ნაშოვნი რვა მანეთი ჩაუთვალა მცხეთელ მეწაღეს.

რას იფიქრებდა კბილებამდე შეიარაღებული იაკოფა, რომ სულ მალე ეტლიდან გადმოხტებოდა, ყაჩაღებს ტყეში შეასწრებდა; სწორედ იმ წამს, როდესაც თავს სამშვიდობოს დაიგულებდა, ზურგში ტყვიები მოხვდებოდა და სულსაც დალევდა.

იაკოფა ბითარაშვილი ვერც ყველაზე ცუდ სიზმარში დაიჯერებდა, რომ მის ჩექმებს სულ სხვა ადამიანი გაცვეთდა მზით.

იმავე ეტლის სავარძელში მოხუცი ცოლ-ქმარი მოკალათებულიყო. თავადი ილია ჭავჭავაძე

ტფილისიდან საგურამოში მეუღლესთან ერთად ბრუნდებოდა. ოლღა გურამიშვილს გზის მტვრისგან დასაცავად სახეზე თავშალი ჰქონდა შემოხვეული და არაფერი დაუნახავს.

ილია ჭავჭავაძეს ტყვიამ გულში გაუარა.

ტფილისში პეტერბურგიდან ელვადეპეშა მოვიდა:

კეთილი ინებეთ და სახელმწიფო კანცელარიას აცნობეთ ამბები სახელმწიფო საბჭოს წევრის თავად ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ.

თუკი იაკოფა ბითარაშვილს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაიტირებს, ილია ჭავჭავაძეს მთელი ქვეყანა იგლოვებს.

გაუმართლა მოხუც თავადის ქალ ოლღა გურამიშვილს; კონდახით მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა.

ბედი გარდაცვლილ იაკოფა ბითარაშვილს ერთ რამეში მაინც ჰქონია;

მას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა არ დაბრალდა;

ქართველები მიცვალებულებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ.

ტრაგედია წიწამურის ტყის პირას 1907 წლის 30 აგვისტოს დატრიალდა;

სწორედ ის დროა, როდესაც კავკასიაში ტერორი არავის უკვირდა. არადა სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ ეს ცუდი სენი ამ მხარეში პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

პოლიტიკური ტერორიზმი რუსეთის საქართველოში სიახლე იყო და თავისი ნოვატორებიც ჰყავდა.

1903 წლის 14 ოქტომბერი

ტფილისი

ტფილისის გუბერნია, რუსეთის იმპერია

შემოდგომის მეორე თვეს ტფილისში განუმეორებელი ხიბლი აქვს. ისეთი ამინდები იცის, გინდა არ გინდა, იფიქრებ, რომ სამოთხისაა.

არც ის სამშაბათი იყო გამონაკლისი.

კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა, თავადმა გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინმა იმდღევანდელი სახელმწიფო საქმეები ოთხ საათზე უკვე მოისტუმრა; მეუღლე მარია ფეოდოროვნასთან ერთად ეტლში ჩაჯდა და კოჯრის გზაზე სასეირნოდ გაეშურა.

წყვილის ამგვარი საქციელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ერთმანეთთან ჟღურტულით გულნაჯერები და კოჯრის ჰაერით ფილტვებგანიავებული ცოლ-ქმარი სასახლეში ბრუნდებოდა.

ახლა გემრიელი სადილი კარგად შეერგებოდათ.

უკვე ქალაქს მიუახლოვდნენ.

იქ, სადაც ბოტანიკური ბაღისკენ მიმავალი დაღმართი იწყებოდა, გზაზე გადმომდგარი სამი გლეხურად ჩაცმული ადამიანი დაინახეს. ერთ-ერთი ფეხის წვერებზე იწევდა; აღმართულ მარჯვენა ხელში ფურცელი ეჭირა და აფრიალებდა.

”მთხოვნელები. _ გაიფიქრა გრიგორი სერგეევიჩმა. _ ვინ იცის, ამ პეტიციის შედგენაში უკანასკნელი კაპიკები გადაუხადეს ვიღაც მამაძაღლ ვექილს.”

- ვანკა, დაამუხრუჭე. _ შესძახა მეეტლეს. _ სიპლივენკო, წერილი გამოართვი. _ ამ სიტყვებით კი კოფოზე მჯდარ ურიადნიკს მიმართა. _ გავიგოთ, რა უჭირს ხალხს. _ მიუბრუნდა მარია ფეოდოროვნას და კეთილშობილი გადაწყვეტილებით კმაყოფილმა მთავარმართებელმა ფუნქციების განაწილება დაასრულა.

ერთ-ერთი მთხოვნელი გაჩერებულ ეტლს შეახტა; ხანჯალი იშიშვლა და გრიგორი სერგეევიჩს თავში ჩასცხო. მსხვერპლმა სცადა ხელჯოხით მოეგერიებინა თავდამსხმელი.

ამასობაში გზაზე მყოფი ორი ყაჩაღიც ჩაერთო საქმეში და მთავარმართებლის ქვემოთ ჩათრევას შეეცადა. დამფრთხალი მარია ფეოდოროვნა ქოლგით მიეშველა მეუღლეს. გადამწყვეტი მაინც ურიადნიკ სიპლივენკოს მოქმედება აღმოჩნდა. ეს გოლიათი კოფოდან გადმოხტა და ბანდიტები ეტლიდან ჩამოყარა.

ვანკამ ცხენებს მათრახი გადაუჭირა; სიპლივენკო დაძრულ ეტლს გამოეკიდა, საფეხურს შეახტა, ხელით ფარანს ჩაეჭიდა;

სროლის ხმა გაისმა თუ არა, ურიადნიკმა მარცხენა ფეხში სიმხურვალე იგრძნო.

***

ოქროყანისკენ გაქცეულ ყაჩაღებს მოქალაქე ლოლაძის სახლთან მდგომი გოროდოვოი და ლოლაძის ვაჟი ტარიელი გამოეკიდნენ. სულ მალე ქალაქიდან სტრაჟნიკები და საბადრაგო რაზმის კაზაკები მოქანდნენ.

ტარიელის მამისეული სახლის წინ დგომა თითქოს ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მერე გაირკვევა, რომ ამ გარემოებას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

თავდამსხმელებს სტრაჟნიკებმა სროლა აუტეხეს. კაზაკები კი მხოლოდ ხმლებს

იქნევდნენ და ხმამაღლა იგინებოდნენ. მათ მხარზე გადაკიდებული შალითებიდან შაშხანების ამოღება არც უცდიათ. ან როგორ უნდა ეცადათ, როდესაც იცოდნენ, რომ ნამდვილი იარაღის ნაცვლად ჯოხის თოფები ჰქონდათ.

ბოლო დროს მთავარმართებლის ბადრაგის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვმა ბრძანება მიიღო, სადაც გარკვევით ეწერა: თუ მებრძოლი შაშხანას დაკარგავდა, პასუხი უფროსს მოეთხოვებოდა.

ბახუსისმოყვარულ კაზაკებს უყვარდათ დუქნებში იარაღის გირაოში დატოვება.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პოდპოლკოვნიკმა ჯარისკაცებს შაშხანები ჩამოართვა და საგანგებო ოთახში ჩაკეტა. ბადრაგის რაზმის წევრები იარაღის ნაცვლად შალითაში ჩამალული ჯოხებით დადიოდნენ და გარედან მტერს უბრმავებდნენ თვალს.

უფრთხილდებოდა მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვი პოდპოლკოვნიკის სამხრეებს და ღირსებას;

არადა სწორედ იქ გაუწყდა, სადაც წვრილი იყო.

პოდპოლკოვნიკი ქვეყნის დასაცინი გახდა.

დრაგომიროვს თითქმის ორი წელი დასჭირდება ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად.

მიხაილ მიხაილოვიჩი მხოლოდ 1905 წლის 5 მაისს გაიმართება წელში.

***

მთავარმართებლის ეკიპაჟი ამაღლების ქუჩაზე სწრაფად დაეშვა, ტიშევსკაიას გავლით ერმოლოვსკაიაზე ჩაუხვია და სულ მალე რეზიდენციის კარებთან გაჩერდა. დასისხლიანებული გოლიცინი ეტლიდან გადმოვიდა; იგი სასახლეში თავისი ფეხით შებრძანდა.

ექიმმა დათვალიერებისას აღმოაჩინა, რომ გრიგორი სერგეევიჩს თავზე სამი და მარცხენა ხელზე ერთი ჭრილობა ჰქონდა.

სიპლივენკოს მარცხენა ფეხში ტყვია მოხვედროდა; მარია ფეოდოროვნამ მასზე პირადად იზრუნა და სასახლეში დატოვა სამკურნალოდ. ამ გულისამაჩუყებელი მიზეზის გამო სტრაჟნიკების მიერ მოკლული ერთი ბანდიტის გვამი და დაჭრილები სწორედ აქ მოუყვანეს ურიადნიკს ამოსაცნობად.

იმავე საღამოს თავდამსხმელთაგან ის ორი დაჭრილიც გარდაიცვალა.

ტერაქტის სამივე შემსრულებელმა უსახელოდ დაასრულა სიცოცხლე.

მათთან მყოფმა მეოთხემ შეუმჩნევლად დატოვა შემთხვევის ადგილი.

მეორე დღეს ტფილისში გამომავალმა გაზეთმა "კავკაზმა" პირველ გვერდზე დაბეჭდა გულისამაჩუყებელი სარედაქციო წერილი, რომელის ასე მთავრდებოდა:

გვინდა გვჯეროდეს, რომ ბოროტგანმზრახველები არ მიეკუთვნებიან კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას.

ხანჯლით შურისძიების უბადლო ოსტატებმა, იუდეველმა სიკერიებმა რომაელების მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქ მასადში, ქრისტეშობიდან 73 წელს, ჯგუფური თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. ასე რომ, 1903 წლის 14 ოქტომბერს თბილისში ისინი ვერ იქნებოდნენ. არც მთვარიდან ჩამოვიდოდა ვინმე მთავარმართებელ გოლიცინ გრიგორი სერგეევიჩის მოსაკლავად.

კოჯრის გზაზე განხორციელებული ტერორისტული აქტის მონაწილეები კავკასიაში მცხოვრები სომხები იყვნენ და

მიზეზიც სოლიდური ჰქონდათ. გრიგორი გოლიცინი 1903 წლის 12 ივნისს გამოქვეყნებული კანონის ინიციატორი იყო; იმ აქტით სომხურ ეკლესიას საკუთრება ჩამოერთვა და რუსეთის სახელმწიფოს გადაეცა.

რას-რას და, ქონების წართმევას სომხები ვერ შეეგუებოდნენ.

იაღლიში მოუვიდა კავკასიის მთავარმართებელს; მისი უდიდებულესობის, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ქვეშევრდომთა ეროვნული თავისებურებები ვერ გაითვალისწინა.

***

ქალაქის განაპირას ლოლაძის სახლის გვერდით მდებარე დუქანში წვერებიანი ახალგაზრდა კაცი მაგიდასთან მარტო იჯდა.

ოცი წლის დრასტამატი იქ ნაშუადღევს მივიდა; ჯერ ჯიგრის ყაურმა მიირთვა, მერე მაგიდა აალაგებინა და პატარა გრაფინით არაყი მოატანინა. მედუქნე გოგიას რუსულად თავისებურ, არატფილისურ კილოზე აძლევდა შეკვეთებს; არსად ეჩქარებოდა; არც დუქანში მყოფი ხალხი აინტერესებდა;

სასმელს წრუპავდა, თამბაქოს ღეჭავდა და ფანჯარაში უაზროდ იყურებოდა.

გამოცდილმა გოგიამ იგი ჟანდარმერიის მეძებრად მიიჩნია და საპატიო სტუმრის იშვიათ მზერას თუ დაიჭერდა, მრავალმნიშვნელოვნი ღიმილით პასუხობდა. ამ ყაიდის ადამიანები ყოველდღე ერთსადაიმავე დროს მოდიოდნენ დუქანში ან იქვე გარეთ ტრიალებდნენ და მათი გამოჩენა მთავარმართებლის ეტლის ავლა-ჩამოვლას ემთხვეოდა ხოლმე.

გარეთ ხმაური ატყდა; მერე სროლის ხმაც გაისმა; დრასტამატს ფეხი არ მოუცვლია; არც სახის კუნთები შეტოკებია; მხოლოდ მას შემდეგ იკადრა და დუქნიდან გავიდა, როდესაც ყველანი სეირის საყურებლად გაიკრიფნენ.

***

მთავარმართებლის ეტლი მოსახვევში თვალს მიეფარა; ოქროყანის მხარეს ბუჩქებიდან თოფმა იბუთქა. იქითკენ მიმავალმა წაკუზულმა გოროდოვიმ რევოლვერი ამოიღო და სროლითვე უპასუხა. პოლიციელს გვერდით ახალგაზრდა კაცი მიყვებოდა; ახლა იმანაც იშიშვლა იარაღი და ერთი ტყვია ჰაერში გაისროლა.

უკნიდან ყიჟინა და ცხენების ფლოქვების ხმა გაისმა. დრასტამატმა მიიხედა; ეს სტრაჟნიკების და მთავარმართებლის ბადრაგის კაზაკთა შერეული რაზმი იყო.

***

სულ მალე ყველაფერი დამთავრდა.

სტრაჟნიკებს ცხენებზე სამი კაცი გადაეკიდებინათ და ნადავლით კმაყოფილები ქალაქში ბრუნდებოდნენ. დრასტამატს ცხვირწინ ჩაუარეს; ახალგაზრდა კაცმა შეამჩნია, რომ ერთი თავდამსხმელი უსულოდ იყო, დანარჩენი ორის სხეული კი ჯერ კიდევ ფეთქავდა.

ეს ყველაფერი არ იყო კარგი სანახავი. მზერა ოქროყანის მხარეს, ბუჩქებისკენ გადაიტანა. წინ გოროდოვოი მოდიოდა, უკან ისევ ახალგაზრდა კაცი მოყვებოდა.

- მეგობარო, ხომ ვერ მეტყვით, ის მოქალაქე ვინ არის? უდავოდ მოსაწონია მისი გმირული საქციელი. _ მიუბრუნდა დრასტამატი გვერდით მდგომ გოგიას.

- ჩემი მეზობლის შვილია; ტარიელ ლოლაძე. _ სიამაყით უპასუხა მედუქნემ და ყოველი შემთხვევისთვის დაამატა. _ თქვენო კეთილშობილებავ!

- საყურადღებოა! ერთობ საყურადღებოა. _ მეორეჯერ უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა დრასტამატმა.

***

ქრისტოფორ ტერ-მიქაელიანცს ავლაბრის სახლში როსტომ ზარიანცი და სიმონ ზავარიანცი ეწვივნენ. "დაშნაკცუთიუნის" დამფუძნებლების შეკრების მიზეზი მთავარმართებელ გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინზე ორიოდე საათის წინ განხორციელებული ტერაქტი იყო. დანამდვილებით იცოდნენ, რომ თავდამსხმელები მათი საბრძოლო რაზმის წევრები არ იყვნენ; სამეულს ახლა ერთობლივად უნდა შეედგინა მოქმედების გეგმა, რათა სხვების მიზეზით გამოწვეული იმპერიის რისხვა პარტიას არ დასტყდომოდა.

დიდ ოთახში მაგიდას უსხდნენ, ყავას სვამდნენ და ხმას არ იღებდნენ.

სიმყუდროვე კარებზე მორიდებულმა კაკუნმა დაარღვია. ასე მხოლოდ მოურავი იქცეოდა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა.

- შემოდი. _ დინჯად წარმოსთქვა ქრისტოფორმა.

ევროპულად გამოწკეპილი ახალგაზრდა კაცი ბატონს ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

- თქვი, რა მოხდა. _ მკაცრი იყო ოჯახის უფროსი.

- მოვიდა; თქვენი ძველი ნაცნობია პიატიგორსკიდან. იძახის, გადაუდებელი საქმე მაქვს, ახლავე უნდა ვნახოო.

როსტომმა და სიმონმა ქრისტოფორს შეხედეს, მან კი ბრძანება გასცა:

- შემოიყვანე.

მოურავი გავიდა.

- ახალგაზრდა კაცია; სოციალისტების "გნჩაკის" წევრია. ჩვენზე მუშაობს. _ აცნობა მასპინძელმა თანაპარტიელებს.

- ვგრძნობ; მაგათი ხელი ურევია თავდასხმაში. _ ხმა ამოიღო როსტომმა.

- გლახაკი და უვარგისი ხალხია. _ ზიზღით თქვა სიმონმა.

ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა:

- საღამო მშვიდობისა, ბატონებო!

- რაღა მშვიდობაა, მთელ ქალაქში ჯარია გამოფენილი. გუმანი მკარნახობს, უცოდველი არ უნდა იყო ამ საქმეში. რა იცი. _ პირდაპირ საქმეზე გადავიდა ქრისტოფორი.

- მხოლოდ შუადღეზე მითხრეს, რასაც აპირებდნენ; ხმას ვერაფრით მოგაწვდენდით. შევეკამათე, ავუხსენი, რა დროს ხანჯლებია,

მეოცე საუკუნეა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. შენ რა გესმის, ლაწირაკო, ჩვენი ტრადიციები უნდა დავიცვათ; მტერს ხანჯლით თავი უნდა წავაცალოთ და მოედანზე ყველას დასანახად სარზე წამოგებული გამოვფინოთო. ხოდა, აგერ ჰქონდეთ, რაც დაემართათ. _ დაასრულა აღელვებულმა დრასტამატმა.

- აწი რას აპირებ? _ მშვიდად ჰკითხა ქრისტოფორმა.

- მაგათთან არ დავბრუნდები. "დროშაკისტებში" ოფიციალურად მიმიღეთ და ვაჩვენოთ ქვეშაფსია "გნჩაკისტებს", როგორ უნდა ნამდვილი ტერორი. _ ცეცხლი უკრთოდა თვალებში ახალგაზრდა კაცს.

- როგორ უნდა ნამდვილი ტერორი, რა თქვი, რა მქვიაო? _ დაინტერესდა სიმონი.

- დრასტამატი, პარტიულ სახელად დრო დამიძახეთ. ტერორი კი თანამედროვე უნდა; ბომბებით!

- როგორ მოგწონთ, ბატონებო? _ მეგობრებს სიამაყით გადახედა ქრისტოფორმა. _ ხედავთ, რა ახალგაზრდობა მოდის. სწორედ ასეთებს უნდა დავუთმოთ ასპარეზი.

- დავუთმოთ და დავუთმოთ! _ კვერი დაუკრა როსტომმა. _ ერთი ასეთი კიდევ მეგულება პარტიაში. იმას მივამაგროთ. დარწმუნებული ვარ, ბევრ მოსისხლე მტერს უტირებენ დედას.

- ვის გულისხმობ, როსტომ, ვინ გყავს ასეთი მაგარი?

- არმენ გარო.

- ნუთუ ის ლეგენდარული გარო, ვინც კონსტანტინოპოლის ბანკის ძარცვაში მიიღო მონაწილეობა, _ დრასტამატი აღტკინებისგან ცახცახებდა.

- მეგობრებო, არმენ გარომ ევროპაში ფიზიკა და ქიმია შეისწავლა და, მოგეხსენებათ, ახლა ჩვენი საძმოს ფულებით ავჭალაში მოწყობილ ლაბორატორიაში მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. ტექნოლოგია უკვე შეიმუშავა და სულ მალე საკუთარი ბომბები გვექნება. ორივე იმპერია უნდა შევაზანზაროთ: პორტაც და რუსეთიც. პირველმა მიწები დაგვიბრუნოს, მეორემ _ საეკლესიო ქონება. _ ინიციატივა ხელთ იგდო როსტომმა.

- ბატონებო, დამშვიდდით. _ მასპინძელი სადავეების ხელიდან გაშვებას არ აპირებდა. _ ათასჯერ მითქვამს და გამეორებით არ დავიღლები. ჩვენ საქმეში ემოციები ცუდი მრჩეველია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთფეროვნება ყველა საქმის მტერია და ამიტომაც ბომბებთან ერთად ნურც სხვა გამოცდილ იარაღსა და ხერხებზე ვიტყვით უარს. წეღან ახალგაზრდა კაცმა ტრადიციები ახსენა. მოსყიდვა ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი იყო ...

***

მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ 1903 წლის 14 ოქტომბერს "დაშნაკცუთიუნში" ოფიციალურად გაწევრიანებული ახალგაზრდა კაცი პარტიის დამფუძნებლებზე დიდ საქმეებს დაატრიალებდა. იმ საღამოს იგი უბრალოდ ყველასთვის უცნობი იდგირელი დრასტამატ კანაიანი იყო, რომლის პარტიული ფსევდონიმი "დრო" მალე დაიქუხებს.

ისტორიაში იგი "გენერალ დრო"-ს სახელით შევა.

დროც ისეთი მოდიოდა, როდესაც ყაჩაღები, კაცისმკვლელები, მძარცველები ლეგენდარული პიროვნებები ხდებიან.

სულ მალე პარტიული იდეალების მისაღწევად ჩადენილი ცოდვები გმირობად ჩაითვლება.

ადრე ეს პრივილეგია მხოლოდ რელიგიას ჰქონდა.

***

1903 წლის 14 ოქტომბერს სახაზინო თეატრში შეპარული ხარფუხელი გიგოლა კალატოზის თოთხმეტი წლის ვაჟი იოსები ფარდის უკან

იმალებოდა და გულისფანცქალით ელოდა, როდის გაიკრიფებოდნენ მსახიობები.

ნაბიჯების ხმა მიწყდა, მესანგრეთა ქუჩაზე გამავალი უკანა კარი ჭრიალით მიიხურა. თეატრში სრული სიჩუმე და უკუნი გაბატონდა.

ბიჭი სამალავიდან გამოძვრა და ფეხაკრეფით გაემართა საგრიმიოროსკენ. ნაჭრის ჩანთაში ედო კვარტიანი, რომელშიც ნავთი ოთხი თითის დადებაზე ესხა; თადარიგიანი დედ-მამის შვილი დარწმუნებული იყო, რომ საწვავი ეყოფოდა.

კარი შეაღო, სარკესთან მდგარ ლამპას ადვილად მიაგნო, ხელში აიღო, შეანჯღრია, ჩაცუცქდა და საგრიმიორო მაგიდის ქვეშ იატაკზე დადგა; ჯერ კიდევ თბილი შუშა მოხსნა, ასანთს გაჰკრა; ფრთხილად მიიტანა ფითილთან.

დარწმუნდა, რომ ლამპის შუქი ფანჯრებამდე ვერ აღწევდა.

ახლა კომოდთან მივიდა, უჯრა გამოსწია.

დიდი ხნის ოცნება ახდენას იწყებდა; წიგნი, რომელზედაც მსახიობები ამდენს ლაპარაკობდნენ, ახლა ხელში ეჭირა.

მაგიდის ქვეშ მოკალათდა, მოყავისფრო ყდაზე ეწერა:

ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი.

გადაშალა და კითხვა დაიწყო:

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ, თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ...

იოსებს სულმა წასძლია, რამდენიმე სტრიქონი გამოტოვა და კითხვა განაგრძო:

სახელის გატეხას თქვენი ჭირიც წაუღია. სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიბრისა და ეფრატის სათავეებამდე, თითქმის შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და სადმე ვიღაც "ვრაცები" ყრილან _ ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და

ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით. თითონ ეს "ვრაცები" ვითარცა ერი არარად სახსენებელია, იმიტომ რომ გაწყვეტასა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდაც ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავბედისა გაიგონ რამ. აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობისა და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარ-პატარა საბოსლეებიც კი ვერ მოუხმარებიათ, რომელთაც ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან ...

ყმაწვილმა ახლა ღრმად ამოისუნთქა.

საბოლოოდ დარწმუნდა: ეს წიგნი მისნაირებისთვის იყო დაწერილი.

***

1903 წლის 14 ოქტომბერი მიილია.

1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე სამი წელი, ათი თვე და თექვსმეტი დღე რჩებოდა.

1905 წლის 5 მაისი

ტფილისი

ტფილისის გუბერნია, რუსეთის იმპერია

1903 წლის 14 ოქტომბერს მთავარმართებელზე თავდასხმის შემდეგ ბევრი რამ მოხდა კავკასიაში.

ახალგაზრდა ტერორისტმა დრასტამატმა და გამოცდილმა არმენ გარომ ტფილისთან ახლოს, ავჭალაში ბომბების წარმოება ააწყვეს;

”გნჩაკის” აქტივისტების მიერ დაჭრილმა გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინმა კარგა ხანს იავადმყოფა, მერე კავკასიიდან გაემგზავრა და აღარ მობრუნებულა.

არ შეცვლილა მხოლოდ სომეხთა ღია ბრძოლა ეკლესიის ქონების დასაბრუნებლად და ფარული ინტრიგები სანუკვარი ”არმენიას” შესაქმნელად.

***

ტფილისში განაგრძობდა უბადრუკ არსებობას ადამიანი, ვისაც იმ ტერაქტის გამო ცხოვრება აეწეწა. მთავარმართებლის

ბადრაგის მეთაურს, პოდპოლკოვნიკ მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვს წელიწადნახევარზე მეტხანს უჭამდა გულს შალითებში შეფუთული ხის თოფების გახმაურებული ისტორია და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ნაგემი სირცხვილის გამო დაწინაურება ან წოდების მომატება არასოდეს ეღირსებოდა. არადა მამა გენერალ-ადიუტანტი ჰყავდა, ერთი უმცროსი ძმა ვლადიმირი _ პოლკოვნიკი, მეორე უმცროსი ძმა აბრამიც _ პოლკოვნიკი, თვითონ კი პოდპოლკოვნიკის წოდებას ვერა და ვერ გასცდა. ჩუმჩუმად ოცნებობდა რაიმე განსაკუთრებულ საქციელზე, რითაც ყველას ყურადღებას მიიპყრობდა და საზოგადოების წინაშე ახალი სახით წარმოჩნდებოდა.

განსაკუთრებულ საქციელს განსაკუთრებული შემთხვევა სჭირდება; იგი კი არა და არ ჩანდა.

ცნობას გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლად დანიშვნის შესახებ დრაგომიროვი მაინცადამაინც არ აღუფრთოვანებია. გუშინ, 4 მაისს დილით კი, როდესაც კაბინეტში კედელზე დაკიდებული ილარიონ ივანოვიჩის პორტრეტი დახვდა, აღელდა. მთელი დღე

შფოთავდა; ბუნდოვანი მოგონება აწუხებდა, მაგრამ რა?

ვერ გაიხსენა.

საღამოს სახლში სავარძელში იჯდა და მოულოდნელად გაჩენილი იდეის გამო წამოხტა:

- დუსია! დუსია! _ გასძახა მოახლეს. _ სად ხარ, დედაკაცო?

- მიხაილ მიხაილოვიჩ, ვახშამი უკვე მზადაა და ახლავე მოგართმევთ. _ გაისმა სამზარეულოდან მზრუნველი ხმა.

- ეშმაკსაც წაუღია ვახშამი. ახლავე აქ მოდი.

- გისმენთ, მიხაილ მიხაილოვიჩ. _ თეთრწინსაფრიანი, ორმოცდაათსგადაცილებული, წითელლოყებიანი, ფაშფაშა ქალი შუა ოთახში იდგა და პატრონს ჩაცვენილი წვრილი თვალებით უყურებდა.

- ჩემი სკივრი გახსოვს? სამსახურიდან რომ მოვიტანე.

- მახსოვს; სალტეებიანი; ფიცრებს ჭიების ნაჭამი ეტყობოდა.

- სადაა? ნაგავში მოისროლეთ არა?

- რას ამბობთ, მიხაილ მიხაილოვიჩ? ეგ როგორ შეიძლება? ძველმანების გადაყრა ვის გაუგია? ოჯახში ყველაფერი საჭიროა. ვინ იცის, ესა თუ ის ნივთი როდის და რაში გამოადგება ადამიანს?!

- აბა სადაა? რას მომშტერებიხარ? მიპასუხე.

- მე და ჩემმა ცხონებულმა კუზმამ ვაი-ვაგლახით ავათრიეთ სხვენში. იქ უნდა იყოს.

- იქ უნდა იყოს, თუ იქ არის?

- იქ არის, მიხაილ მიხაილოვიჩ. ხომ გითხარით, ძლივს ავიტანეთ-მეთქი. კუზმა შარშან წარსდგა უფლის წინაშე და სკივრს, რომც მომენდომებინა, მარტო ვერ ჩამოვიტანდი.

- აბა სასწრაფოდ, კიბე მოიტანე. მე თვითონ ავალ და თუ არ დამხვდა, ვაი შენი ბრალი.

- იქ არის, მიხაილ მიხაილოვიჩ, იქ არის! აი, პირჯვარი გამომისახია.

***

სკივრი პოდპოლკოვნიკ დრაგომიროვს ბადრაგის წინა მეთაურისგან მემკვიდრეობით ერგო. შიგ ჩალაგებული

საქაღალდეები და ძველი ფოტოები გადაათვალიერა; საინტერესო არაფერი იყო. მერე, როდესაც უცნაური ხელყუმბარა დაამზადა, სამხედროებს წარუდგინა და მოწონების ნაცვლად მასხრად აგდება დაიმსახურა, გაბრაზებულმა დრაგომიროვმა მორჩენილი ბამბუკები, ბიკფორდის შნურები, პიროქსილინის ფხვნილის კაფსულები და სხვა ათასი წვრილმანი იმ საბუთებს დააყარა, სკივრი დახურა და სახლში წაიღო.

შორეული აღმოსავლეთის ფრონტიდან ცნობა მოვიდა, რომ იაპონელები ხელყუმბარების კორპუსად ბამბუკს იყენებენ და ასაფეთქებელ ნივთიერებად მენდელეევის მეთოდით მიღებულ პიროქსილინს ხმარობენ; მწარედ გაეცინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

ხის თოფების შემდეგ ხის ყუმბარებზე ლაპარაკი მხოლოდ ირონიას იწვევდა.

სახელის გატეხვამ იცის ასე.

ანდაზას ისეთი ძალა აქვს, მის მიღმა ჭეშმარიტების დანახვა ძალიან უჭირთ ადამიანებს.

***

იმ დილით პოდპოლკოვნიკ მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვს სხვენში ათას ნაგავსა და მტვერში მიგდებული სკივრიდან ამოღებული ნივთი უბეში ედო და თავის გამოსაჩენად მზად იყო.

თუ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ჩაიფიქრა, აბა ვინმემ გაბედოს და ისევ ჯოხისთოფა დაუძახოს.

***

1905 წლის 5 მაისს 2 საათსა და 6 წუთზე ტფილისის ვაგზალზე ჩამოდგა რუსეთის იმპერიის გერბებით დამშვენებული მატარებელი და კავკასიის დედაქალაქში ჩამოიყვანა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნაცვალი, კავკასიის სამხედრო მხარის მთავარსარდალი, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვი.

საგანგებოდ აღდგენილ მეფისნაცვლის თანამდებობაზე იგი 1905 წლის 27 თებერვალს დაინიშნა და ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამობრძანდა სამართავ მხარეში.

ვორონცოვ-დაშკოვის ტფილისში გამწესების თხოვნით რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ

მეორეს გენერალ-ადიუტანტებმა: ივანე გივის ძე ამილახორმა და ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძემ _ მიმართეს.

ივანე ამილახორი ვორონცოვ-დაშკოვს ორიოდე დღის წინ ბალაჯარის ვაგზალზე ბაქოს გენერალ-გუბერნატორის რანგში მასპინძლობდა, ხოლო ზაქარია ჭავჭავაძე მეფისნაცვალს ტფილისის ლიანდაგებზე მდგარ ვაგონში ეახლა და მიესალმა.

ეს პატივი ქართველი თავადებისთვის რუსეთის იმპერიას არ აუყრია.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვთან ერთად ტფილისში ჩამოვიდნენ: მეუღლე ელისავეტა ანდრეევნა, ქალიშვილი ირინა ილარიონოვნა შერემეტიევა, პოლკოვნიკი ნაკაშიძე, მდივანი პუშჩინი, ადიუტანტი ჭავჭავაძე, განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი ლინდენი, პოლიციის შეფი შირინკინი ...

ვაგზალზე დახვედრის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საკრებულოს თავმა ვერმიშევმა, ტფილისის კომენდანტმა ტიმოფეევმა; თავადაზნაურობის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ჯამბაკურ-ორბელიანი და წერეთელი ...

ჩოხაში გამოწყობილი გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თეთრ ცხენზე ამხედრდა და საზეიმოდ მორთულ ვაგზლის ქუჩაზე გაიჭრა.

მეფისნაცვლის ამალამ ქალაქში ძლევამოსილი მსვლელობა დაიწყო.

ვორონცოვ-დაშკოვს ასი ნაბიჯით წინ ჟანდარმერიის ესკადრონის ექვსი უნტეროფიცერი მიუძღოდა, მათ შემდეგ მიჭენაობდა ბადრაგის ოცეული. გრაფის უკან ღია ეტლში ისხდნენ გრაფინია ელისავეტა ანდრეევნა და თავადის ქალი მელიქოვა; მომდევნო ეკიპაჟის მგზავრები კი ირინა ილარიონოვნა შერემეტიევა და თავადის ქალი ორბელიანი იყვნენ.

სიონის საკათედრო ტაძრამდე მისასვლელად უნდა გაევლოთ: ბაღის ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, კიროჩნაია, ვერის აღმართი, გოლოვინსკის პროსპექტი, სასახლის ქუჩა, ერივნის მოედანი, სომხური ბაზარი და სიონის ქუჩა.

გზის გასწვრივ ტროტუარებზე ჯერ სამხედრო შენაერთების მებრძოლები იდგნენ, მათ უკან კი საზეიმოდ განწყობილი მოქალაქეები აფრიალებდნენ იმპერიის სამფეროვან დროშებს.

შიგდაშიგ ”ურას” ძახილი ისმოდა.

სამხედრო ორკესტრები მთელს ქალაქში მარშებს ასრულებდნენ.

ბადრაგის მეთაური, პოდპოლკოვნიკი მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვი, ვისაც მეფისნაცვლის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ყველაზე მეტად ევალებოდა, ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვის ტფილისურ ჯირითს თვალს არ აშორებდა, ხალხში გზას აჩქარებული ნაბიჯით მიიკვლევდა და ხელსაყრელ მომენტს მოთმინებით ელოდა.

***

სამ საათზე სიონის ტაძარში მისულ მეფისნაცვალს მართლმადიდებლების სახელით ეგზარქოსი ალექსი და ალავერდელი ეპისკოპოსი ეფრემი მიესალმნენ. შემდეგ ვანქის სომხურ ეკლესიაში გარეგინ სტეფანიანმა ხოტბა შეასხა კავკასიის ახალ მმართველს; შიიტურ და სუნიტურ მეჩეთებში ვორონცოვ-დაშკოვი დალოცეს შეიხ ელ-ისლამმა ახუნდ-აბდუსალამ-ახუნდ-ზადემ და მუფთიმ ჰუსეინ-ეფენდი-გაიბოვმა. ერთგულება შეჰფიცა მეფისნაცვალს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წინამძღვარმა რიჰარ-მაიერმა;

მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვის დრო მხოლოდ მეფისნაცვლის სასახლეში საზეიმო ბანკეტის დაწყების წინ დადგა. როგორც იქნა, იგი ილარიონ ივანოვიჩთან ერთი ხელის გაწვდენაზე აღმოჩნდა; უბიდან ფოტო ამოიღო და მასპინძელს მიაწოდა.

- ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ. თქვენი ბადრაგის მეთაური პოდპოლკოვნიკი დრაგომიროვ მიხაილ მიხაილოვიჩი.

ბროლის ჭაღებიდან გადმოფრქვეული სხივები დარბაზის სარკეებიან ჭერ-კედლებზე გარდატყდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველა მათგანმა იმ წამს ამ ფოტოს მოოქროვილ ჩარჩოზე მოიყარა თავი.

გრაფი ყურადღებით ათვალიერებდა მოულოდნელ საჩუქარს და როდესაც მიხვდა, რა ხდებოდა, გაიღიმა, ძღვენი მარჯვენა ხელით მაღლა აღმართა და მთელი დარბაზის გასაგონად წარმოსთქვა:

- ბატონებო, აი როგორი ბიჭი ვიყავი მაშინ, როდესაც კავკასიაში პირველად დავდგი ფეხი. თუ არ ვცდები ეს 1861 წელს გადაღებული ფოტოა და იგი ჩემს ალბომში აქამდე არ მქონდა. უღრმესი მადლობა პოდპოლკოვნიკ დრაგომიროვს უძვირფასესი საჩუქრისთვის!

მოწვეული სტუმრები მეფისნაცვლის ახალგაზრდობის პორტრეტის სანახავად დაიძრნენ.

დრაგომიროვი ამაყად იდგა გრაფ ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვის გვერდით.

თითქოს ძველი დრო დაბრუნდა; პოდპოლკოვნიკი კვლავ ფავორში იყო.

მეფისნაცვლისთვის ძველი ფოტოს გადაცემის ცერემონიალის ფონზე ქალაქის საკრებულოს თავის მეუღლემ გრაფინია ელისავეტა ანდრეევნას ტფილისელი სომეხი ვაჭრების სახელით მიართვა მოკრძალებული საჩუქარი: უძვირფასესი ბრილიანტებით დამშვენებული საყურეები.

ეს სამკაული კონსტანტინოპოლელ ოქროს ოსტატებს საგანგებოდ შეუკვეთა "დაშნაკცუთიუნის" დამფუძნებელმა სიმონ ზავარიანცმა.

სხვადასხვა საკეტს თავისი გასაღები აქვს, მაგრამ არსებობს ეგრეთწოდებული "ატმიჩკა", რომელიც ყველა კარს აღებს.

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ბრძანებულებამდე, რომლითაც სომხურ ეკლესიას კუთვნილი ქონება დაუბრუნდა, სამ თვეზე ნაკლები რჩებოდა. ამ საქმეში

გრაფინია ელოსავეტა ანდრეევნას წვლილზე მხოლოდ ჩურჩულით ილაპარაკებენ. მერე და მერე ბოროტი ხმები იმასაც იტყვიან, რომ კავკასიის პირველი ქალბატონი სომხურ ყაიდაზე მოინათლაო.

***

1905 წლის 5 მაისს, ღამით ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ჩვიდმეტი წლის მოსწავლე მეტსახელად ხოსრო საწოლში წრიალებდა. ქალაქში გამართულმა საზეიმო ღონისძიებებმა ააფორიაქა და ვერაფრით იძინებდა. გადაწყვიტა, რამე წაეკითხა. წამოდგა, წიგნების კარადასთან მივიდა; ხელში ილია ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადი" მოყვა. მაგიდას მიუჯდა: ამ ნაწარმოების არსებობის შესახებ პირველად კლასის დამრიგებელ კოტე მაყაშვილისგან გაიგო; მერე რამდენჯერმე წაიკითხა და ლამის ზეპირად იცოდა; ალალბედზე გადაშალა:

"იგი გუნდი სომხებისა, რომლის მედაფე-მეზურნედ მათნი მწიგნობარნი არიან, ამ თვალთმაქცობას არა კმარობს, არა სჯერდება: მისთვის ცოტაა სხვისა მართალი მალოს, თვისი ტყუილი აყვიროს. ამ გუნდმა კარგად იცის, რომ საბუთი, რაც გინდ დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟღავნდება და თავისას

გაიტანს. საქმე საბუთის გაბათილებაა, ან წაშლა, ან ჩაფხეკ-ამოფხეკა, ან გადაკეთება სათავისოდ.

რომ არც ამისთანა ოინები ეფიცებათ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერებს, ესეც ცხადია. რადგანაც დრო იქნება, როცა ისტორიული ნაშთები და სახსოვრები თავისას იტყვიან, _ ვისა სჭერია და ვის უჭირავს ეს ადგილები. და რადგან ქვანი, მრავალნი შენობანი, ტაძრები, მონასტრები იღაღადებენ, რომ ძველისძველად ამ ადგილებში ქართველები ყოფილან, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ უტყუარს მოწმეს ქართველებისას ხმა ჩააწყვეტინონ, ხმა არ ამოაღებინონ. ამისთვის ერთი თქვენი მოსაწონებელი ხერხი უხმარიათ: აუღიათ და, საცა შესძლებიათ და მოუნელებიათ, წაუშლიათ ყოველივე კვალი.

ამის მოხერხება ძნელი არ არის, ოღონდ ხალისი იყოს და ნამუსი ნებას იძლეოდეს. დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო, და მოტყუებით იქნება, თაღლითობით, თუ ოინბაზობით, ამას ვიღა იკითხავს. დღეს ჭკუის საწყაოდ ასეთის საქციელით გამარჯვებაა. არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ცდილან ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზე

ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდან ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა. არა ერთი და ორი მაგალითია ამისთანა ოინისა და ოდესღაც გამოცხადებული იყო აქაურ ქართულ და რუსულ გაზეთებშიც ... ”

***

იმ ღამეს არ ეძინებოდა არც მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვს. მას მოსვენება მეფისნაცვლის სასახლიდან გამოსვლისას ყურმოკრულმა ფრაზამ დააკარგვინა:

- ერთი შეხედე, რა გაბღენძილი მიბრძანდება. ამას ჰგონია, თუ ვორონცოვ-დაშკოვს სანაგვეზე გადაგდებული ფოტო აჩუქა, მისი შალითებში გახვეული ჯოხის თოფები დაავიწყდება ხალხს.

რას არ მისცემდა მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვი იმ მოლაყბე როტმისტრ ბიგაევის სახრჩობელაზე ჩამოკონწიალების სანაცვლოდ.

***

1905 წლის 5 მაისი ისტორიის კუთვნილება ხდებოდა.

1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე ორი წელი, სამი თვე და ოცდახუთი დღე რჩებოდა.

***

გვიან ღამით, ვიდრე დაიძინებდა, ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვმა კავკასიაში მოგზაურობის შედეგები შეაჯამა. ინფორმაცია ამ მხარეში სომხებსა და თათრებს შორის არსებული სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების შესახებ ჯერჯერობით არ მართლდებოდა. ტფილისში ამ ორი ეროვნების წარმომადგენლები მხოლოდ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ლაპარაკობდნენ, მათი სალოცავები გვერდიგვერ იდგა; ბალაჯარში შეხვედრაზე კი ბაქოს სომხების ბელადმა ხატისოვმა ისე აქო და ადიდა იქაური თათრები, რომ ვორონცოვ-დაშკოვს იმპერიის ჟანდარმერიის მონაცემების სიზუსტეში ეჭვი შეეპარა.

ხვალ, 1905 წლის 6 მაისს, დილით გაზეთი ”კავკაზი” დაწერს:

უნდა ვირწმუნოთ, რომ გუშინდელი დღიდან კავკასიამ თავის ისტორიის ახალ, უკეთეს ეპოქაში შეაბიჯა. ცისკარი აციმციმდა, იგი ალიონის მომასწავებელია.

ზუსტად ხუთი დღის შემდეგ ბაქოდან ცუდი ამბები მოვა.

1905 წელი 11 მაისი

ბაქო

რუსეთის იმპერია

”გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ქართველები განსაკუთრებით უყვარს, ნურაფრის შეგეშინდება; აწი ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს”. _ გონებაში იმეორებდა ბაქოს გენერალ-გუბერნატორის სასახლიდან გამოსული თავადი მიხეილ ნაკაშიძე ივანე ამილახორის სიტყვებს.

- ზაქარია, სად ხარ, ბიჭო? ისევ ჩემს სავარძელში გძინავს ხომ? _ შესძახა ეტლში მჯდომ მცველს.

- აგერ ვარ, ბატონო! ძილი რა საკადრისია?! აქაურობა პატარაზე დაიმტვერა და გადავწმინდე. _ სხაპასხუპით უპასუხა ზაქარია თაყაიშვილმა. წამოხტა, უკანსვლით ეტლის საფეხურთან შეჩერდა; ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, წელში მოიხარა და სავარძლის კიდეს გაუსვ-გამოუსვა. _ დაბრძანდით, ჩემო ბატონო!

- რა ვართ ეს გურულები?! სულ სხვისი ადგილის დაკავებას ვცდილობთ. ბიჭო, რით

ვერ გაიგე, რომ აზნაური ხარ და თავადის სავარძელი შენთვის მხოლოდ ცალმხრივი ტრფობის საგანი უნდა იყოს? როდის იყო, თაყაიშვილები ნაკაშიძეებს ეტოლებოდნენ?!

- თქვენ მაგას როგორ გაკადრებთ, ბატონო, მაგრამ ბაბუაჩემი სულ ჩამჩიჩინებდა: ბიჭო ზაქარია, დეიმახსოვრე, გურული აზნოურიშვილობა ზოგიერთის თავადობას უდრისო.

- უდრისო თუ მეტიაო? ბაბუაშენი იმასაც გეტყოდა, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი ცოცხალიაო, მაგრამ გჯერა ეგ ამბავი შენ? _ გენერალ-გუბერნატორთან აუდიენციით კმაყოფილი მიხეილ ნაკაშიძე ახლა ხალისით ესაუბრებოდა თავის ახლადაყვანილ პირად მცველს.

- ბაბაუაჩემს ჰქონდა საამაყო. მის ძმა სვიმონს გიტელი ნაკაშიძის ასული, თავადის ქალი ნინო ჰყავდა ცოლად.

- ნეტა რატომ მოიძულა ცხონებულმა გიტელიმ ასე თავისი შვილი?! აზნაურს და თანაც გურულს როგორ გაატანა ქალი?!

- რა მაგის პასუხია და, ბაღანა ნამეტანი კარგი გამოუვიდათ. ისეთი ნასწავლია, იმნაირი

განათლებული კაცი ახლა ტფილისში ბარე ორი არ მოიძებნება; ბიძად მეკუთვნის.

- ჰე, გვეყო ახლა ქაქანი. აგერ, ა, აქ არის შენი ადგილი მეშადი-ოღლისთან და დაბრძანდი, აზნაურიშვილო. _ ტროსტით დააკაკუნა კოფოზე მსუქანი მეეტლის გვერდზე დარჩენილ ცარიელ ადგილზე. _ იჯექი მანდ და წინ იყურე.

***

ბაქოში ცხოვრება დუღდა. კასპიისპირა ქალაქმა სულ რამდენიმე ათეული წლის წინ მოიპოვა საგუბერნიო სტატუსი და სწრაფად ვითარდებოდა.

როტშილდები, ნობელები _ აქ ყველას პირზე ეკერა. ფრანგული, გერმანული, სხვა ევროპული ბანკები ბაქოში უზარმაზარ კაპიტალს აბანდებდნენ. მათ ტოლს არც რუსული ფული უდებდა. ფხიანი გამოდგნენ სომეხი ვაჭრები და ნავთობის მნიშვნელოვანი წილის გაკონტროლება შეძლეს. მცირედით დაკმაყოფილდნენ თათარი და ქართველი ბურჟუები.

სამრეწველო ქალაქს თანამდევი თავისებურებაც ახლდა. ჭაბურღილების ზრდასთან ერთად ბაქოში მაზუთის სუნი

მატულობდა. თუმცა მას იმდენი ხეირი მოყვებოდა, რომ მოქალაქეები სიმყრალეს ვერც ამჩნევდნენ.

იცხოვრებდნენ ბაქოელები მეოცე საუკუნის დასაწყისის განახლებული ქალაქისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ცხოვრებით. მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდებოდნენ, მუშები შიგადაშიგ გაიფიცებოდნენ; შედეგად ზოგჯერ ხელფასის მცირედით მომატებას მიაღწევდენენ, უფრო ხშირად კი _ ცემას და დარბევას. მერე იმათი შვილები უფრო მეტს მოინდომებდნენ, მაგრამ სადაა ასე დალაგებული ყველაფერი?!

იმ დღეს ბაქოს გენერალ-გუბერნატორმა ივანე ამილახორმა თავის რეზიდენციაში ბაქოს გუბერნატორი. ტაინი სოვეტნიკი თავადი მიხეილ ნაკაშიძე დაიბარა.

მხარის პირველმა პირებმა ბევრი ისაუბრეს.

კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობაზე ივანე ამილახორის და ზაქარია ჭავჭავაძის პროტეჟეს გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის დანიშვნის შემდეგ ზურგი გაუმაგრდათ. იქნებ თათრულ-სომხურ დაპირისპირებასაც მოღებოდა ბოლო და რევოლუციური პარტიებიც დაშოშმინებულიყვნენ. თუ სიტუაცია

დაწყნარდებოდა, აქაური ნავთობის ბევრი ფულიდან ცოტა ჩინოვნიკებსაც ერგებოდათ და გალევდნენ წუთისოფელს სიამტკბილობაში.

ბაქოს დროებითი გენერალ-გუბერნატორი თავადი ივანე გივის ძე ამილახორი სამოცდათექვსმეტი წლის მოხუცი იყო: გუბერნატორ თავად მიხეილ ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს კი ორმოცდაცხრამეტი ჯერ არ შესრულებოდა. სიკვდილს არცერთი აპირებდა. პირიქით, ბაქოს ქართველი მმართველები კავკასიის სათავეში ახალი ადამიანის, თანაც მათი კაცის, მოსვლის შემდეგ მხოლოდ კარგ ამბებს ელოდნენ.

***

ბომბი ეტლში მიხეილ ნაკაშიძის ფეხებთან დავარდა. ზაქარია თაყაიშვილი კოფოზე შემოტრიალდა და სცადა უფროსს გადაფარებოდა;

ვერ მოასწრო.

დღის სამ საათზე ბაქოს ცენტრში, მიხეილის ქუჩაზე, სასტუმრო "მეტროპოლის" წინ ააფეთქეს აქაური გუბერნატორი მიხეილ ნაკაშიძე. მასთან ერთად დაიღუპა მცველი

ზაქარია თაყაიშვილი და ორი ქუჩაში გამვლელი ქალბატონი;

მსუბუქად დაიჭრა მეეტლე მეშადი-ოღლი.

მზიანი თბილი ამინდი იყო,

ჯერ ერთი კვირაც კი არ გასულა, რაც კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვი თავის მოვალეობას ასრულებდა;

ტერორისტებისგან პირველი სალამი უმნიშვნელო დაგვიანებით ბაქოდან მიიღო;

რევოლუციების და მისი თანმხლები ქარტეხილების დროს შეჩერება ვერც ვორონცოვ-დაშკოვმა შეძლო.

1905 წლის 1 ოქტომბერი

ბაქო

სამხედრო სასამართლოს დარბაზი

დრასტამატ(დრო) კანაიანი სკამზე თვლემდა; უკვე რამდენიმე დღეა სხდომის მდივნის მონოტონურ ხმაზე ეძინებოდა.

თავმჯდომარის სიტყვებმა გამოაფხიზლა:

- ბრალდებულო გიორგი მეირამოვ, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ?

- *ერთხელ კიდევ ვიმეორებ, მაჰმადიანებმა: ქერბალაიმ და აგალიმ _ იმიტომ მიცნეს, რომ ორჯერ მნახეს გამომძიებელ დუბროვსკისთან და ჯაშუშმა სტრელკოვმაც ამიტომ დამიჭირა. მე დამნაშავე არა ვარ.* _ განაცხადა მეირამოვმა.

- ბრალდებულო სიმონ ზალიანც, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ?

- *12 მაისს ბაქოდან დროებით წავედი და ბარგი აქ დავტოვე. დამნაშავე არა ვარ.* _ იყო პასუხი.

- ბრალდებულო მინას აგასიანც, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ?

- *ბომბის აფეთქების დროს თუმანოვთან ვიყავი. ამას ღვთის წინაშეც გავიმეორებ. მე დანაშავე არა ვარ.* _ თხუთმეტი წლის ყმაწვილი თვალებში უყურებდა მოსამართლეს.

- ბრალდებულო, პეტროს სახაკიანც, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ?

- *ყუმბარის აფეთქების დროს ჯანიანცის რკინის საწყობში ვიყავი. მე დამნაშავე არა ვარ.*

- ბრალდებულო ლევონ არუთინოვ, აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ?

- *ყუმბარის აფეთქების დროს თეთრ ქალაქში მანთაშევის ქარხანაში ვიყავი. იგი 8 ვერსით არის დაშორებული იმ ადგილს, სადაც ნაკაშიძე მოკლეს. მე დამნაშავე არა ვარ.*

ბრალდებულთა დაკითხვის პროცესიც ერთფეროვნად და უემოციოდ მიმდინარეობდა.

დრასტამატ(დრო) კანაიანს კვლავ ძილი მოერია.

***

- ფეხზე ადექით, სასამართლო მობრძანდება! _ გაისმა სხდომის მდივნის გამყინავი ხმა.

დრასტამატ(დრო) კანაიანი სხვებთან ერთად ადგა და დაჯდა.

მოსამართლეს შეხედა; წარმოიდგინა, როგორ გაუჭირდებოდა ამ ბატონს მისი ნამდვილი სახელის სწორად წარმოთქმა. რუსებისთვის სიტყვა "დრასტამატ" ენის გასატეხივით იყო. ერთხელ პიატიგორსკში გიმნაზიის მასწავლებელს ისეთი ჟღერადი სიტყვა გამოუვიდა, მთელი კლასი დიდხანს კვდებოდა სიცილით: "ზდრასტ-ტვოიუ-მატ."

ბაქოს გუბერნატორ მიხეილ ნაკაშიძის მკვლელობის გამო: სიმონ ზალიანცს, გიორგი მეირამოვს, პეტროს სახაკიანცს, ლევონ არუთინოვს და მინას აგასიანცს _ ჩამოერთვათ ყოველივე ღირსება-უპირატესობა და მიესაჯოთ ჩამოხრჩობა.

ასეთი იყო ვერდიქტი.

დრასტამატ(დრო) კანაიანის სახელი და გვარი მთელი პროცესის მანძილზე არ გაჟღერებულა. ერთადერთხელ შეექმნა მხილების საფრთხე, როდესაც მოწმე შანშიევმა სასამართლოს განუცხადა, რომ

ვიღაც რუსმა ჯაშუშმა უთხრა, თითქოს ნაკაშიძეს ბომბი კუშნარიოვის მაღაზიასთან მდგომმა სტუდენტმა ესროლაო. ჩვენება იმდენად უაზროდ ჟღერდა, სტუდენტის ძებნა არავის მოსვლია აზრად.

სასამართლოს განაჩენის მოსმენისას დრასტამატ(დრო) კანაიანს შუბლის ძარღვი არ შეტოკებია;

გაწყვეტილი ჰქონდა.

დრო კანაიანის საქციელის გამო მის ხუთ თანამემამულეს სიკვდილი მიუსაჯეს;

მერე რა!

დრო მოვიდა ასეთი.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როდესაც დრასტამატ(დრო) კანაიანი უკვე ფაშისტური "ესესის" სომხური ლეგიონის გენერალი გახდება, სიამაყით ჩასწერს თავის ბიოგრაფიაში, რომ 1905 წლის 11 მაისს ბაქოს ცენტრში ააფეთქა გუბერნატორი მიხეილ ნაკაშიძე.

ფრთხილი კაცი იყო დრო კანაიანი. ყოველთვის იცოდა: სად უნდა ყოფილიყო და როდის რა ეთქვა.

1905 წელი ოქტომბერი

ტფილისი

ტფილისში ჩამოსვლით გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისთვის მძიმე დრო დადგა;

განსაკუთრებით რთული გამოდგა შემოდგომის მეორე თვე.

რევოლუციურმა მოვლენებმა ზენიტს 22 ოქტომბერს მიაღწია.

ვორონცოვ-დაშკოვმა დილა პოლიციის დარგში თავის თანაშემწე ევგენი ნიკიფოროვიჩ შირინკინთან საუბარში გაატარა.

შემდეგ ელისავეტა ანდრეევნასთან ერთად სასახლის ეკლესიაში მიბრძანდა. მამა დიმიტრი ვინოგრადოვს კონოტოპში გარდაცვლილი გენერალ-ადიუტანტ მიხაილ ივანოვიჩ დრაგომიროვის პანაშვიდი თორმეტ საათზე უნდა გადაეხადა.

ეკლესიაში იმყოფებოდა გარდაცვლილის შვილი, მეფისნაცვლის ბადრაგის უფროსი, პოდპოლკოვნიკი მიხაილ მიხაილოვიჩი. ელისავეტა ანდრეევნამ და ილირიონ

ივანოვიჩმა დამწუხრებულ ჭირისუფალს ხელისჩამორთმევით მიუსამძიმრეს.

მიხაილ მიხაილოვიჩ დრაგომიროვმა ასეთი დიდი პატივის გამო თვალებზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა.

მამა დიმიტრი ვინოგრადოვი პანაშვიდის რიტუალის შესრულებას შეუდგა.

ამასობაში ტფილისი დუღილს იწყებდა.

მეორე გიმნაზიის მასწავლებლებს კრება დაესრულებინათ, საომარი მდგომარეობის გაუქმების პეტიციაზე ხელი მოეწერათ და გეზი ქალაქის სათათბიროსკენ ეჭირათ.

მათი კოლონა უკვე ვერის აღმართს უახლოვდებოდა.

პედაგოგებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის შესახებ, რაც იმ წუთებში გოლოვინსკიზე ხდებოდა.

რუსი პატრიოტების კავშირის წევრებს ანუ ძირითადად კაზაკებს, სხვა სამხედრო შენაერთების მეომრების თანხლებით, პროსპექტი "ბოჟე ცარია ხრანის" სიმღერით გაევლოთ და ახლა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობასთან შეკრებილ ხალხს

აიძულებდნენ ქუდები მოეხადათ და მსვლელობას შეერთებოდნენ.

გიმნაზისტები მთვრალი ჯარისკაცების მოთხოვნას, რა თქმა უნდა, არად დაგიდევდნენ. მანიფესტანტები მათ დაერივნენ და ცემა დაუწყეს.

გიმნაზიის შენობიდან ქვები გადმოყარეს;

ქუჩაში ვიღაცამ გაისროლა; ეს კი ყოველთვის ცუდის საწინდარია.

ქუჩაში მყოფმა კაზაკებმა თქვეს, გიმნაზიიდან გვესვრიანო;

დაიწყო.

***

მეფისნაცვლის სასახლის ეკლესიაში გენერალ-ადიუტანტ მიხაილ ივანოვიჩ დრაგომიროვის პანაშვიდი დამთავრდა. მამა დიმიტრი ვინოგრადოვი წესიერი მღვდელი იყო და გარდაცვლილის სულის მოსახსენებელი ლიტურგია ყველა წესის დაცვით ჩაატარა.

ტფილისში დღის პირველი საათი სრულდებოდა.

საღამოს, როდესაც გენერალ მიხაილ ივანოვიჩ დრაგომიროვის გვამი მშობლიური კონოტოპის მიწას პატივით მიაბარეს და მისი უმცროსი შვილები ქელეხის სუფრის სამზადისში იყვნენ, უფროს ვაჟ პოდპოლკოვნიკ მიხაილ მიხაილოვიჩს ტფილისში სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა.

წმინდა მიხეილის საავადმყოფო სავსე იყო გვამებით და დაჭრილებით. ამ უბედურებაში წვლილი დრაგომიროვის რაზმის წევრებმაც შეიტანეს. მარტო კაზაკმა კლადმა თოთხმეტი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეები, პირადად დახვრიტა.

მერე რა, რომ რევოლუციების ეპოქა დადგა. ასეთი სისატიკის მხოლოდ დროსთვის დაბრალება არ გაჭრიდა.

პოდპოლკოვნიკმა დრაგომიროვმა პირადად ისურვა კაზაკ კლადის დაკითხვა.

***

კაბინეტში ხელებშეკრული დამნაშავე შემოიყვანეს.

პოდპოლკოვნიკ მიხაილ დრაგომიროვს სულწასულმა როტმისტრმა ბიგაევმა დაასწრო მთავარი კითხვის დასმა:

- რამ გაგაგიჟა, რას ერჩოდი უდანაშაულო ადამიანებს?

- ამ მამაძაღლებმა, ამ რევოლუციონერებმა მოკლეს ჩემი მეგობარი მიხნევი და მერე ჩემი თანასტანიცელებიც გააუბედურეს. _ კაზაკ კლადს სინანულის გრძნობა არ ეტყობოდა.

- ვინ ოხერია შენი მეგობარი მიხნევი ასეთი, რომ თოთხმეტი მშვიდობიანი მოქალაქის სისხლი ღირდეს? _ იღრიალა დრაგომიროვმა, რომელმაც თვითონაც არ იცოდა, ახლა ვისზე უფრო იყო გაბრაზებული, კაზაკზე თუ გველისწიწილ ბიგაევზე. ვერა და ვერ აპატია როტმისტრს 5 მაისს, ვორონცოვ-დაშკოვის ტფილისში ჩამოსვლის დღეს, ჯოხის თოფების ხსენება და მისი ყველა სიტყვა თუ მოქმედება აღიზიანებდა.

- მარტო მიხნევზე კი არა, ჩემს თანასტანიცელებზეც ვიძიე შური. მე მხოლოდ რევოლუციონერები დავხოცე: მათ წითელი ბანტები ეკეთათ.

- როტმისტრო, ეს მამაძაღლი უშუალოდ თქვენ გემორჩილებათ. _ დრაგომიროვმა საბაბი იპოვა ბიგაევისთვის ადგილის მისაჩენად. კეთილი ინებეთ და მომახსენეთ, რას ბოდავს ეს კაცი ვიღაც მიხნევზე და თანასტანიცელებზე. ამის სისულელეების

მოსასმენად სად მცალია. გიბრძანებთ, მკაფიოდ და გასაგებად მომიყევით ყველაფერი.

- არის მკაფიოდ და გასაგებად მოგახსენოთ, ბატონო პოდპოლკოვნიკო. *კაზაკი მიხნევი ქართველი სოციალ-დემოკრატების ჯგუფის მიერ შემდეგ გარემოებებშია მოკლული; 1905 წლის 24 აგვისტოს ბრძანება მივიღე, დამენიშნა ორი ყოჩაღი კაზაკი სპარსეთის შაჰის მიერ მეფისნაცვლისთვის ბოძებული ორდენების საქართველოს სამხედრო გზით მინერალურ წყლებში წასაღებად. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იმჟამად იქაურ აგარაკზე ისვენებდა და იმ ადგილებში გავლით მყოფ შაჰს უნდა შეხვედროდა. იმავე დღეს გვიან საღამოს ჩემს მიერ დანიშნული, კაზაკები: მიხნევი და შირიაევი _ ეტლით გაუდგნენ გზას. მცხეთასთან ახლოს მათ თავს დაესხნენ ქართველი ბოროტგანმზრახველები და ბუჩქებიდან სროლა დაუწყეს. პირველივე ტყვიით მოკლეს მიხნევი. შირიაევი არ დაიბნა, სწრაფად ჩამოხტა ეტლიდან, ქვაღორღს ამოეფარა და საპასუხო ცეცხლი გახსნა. ერთი ყაჩაღი მოკლა, მეორე ფეხში დაჭრა. ამის შემდეგ თავდამსხმელები მიიმალნენ. შირიაევმა კაზაკის გვამი და საფოსტო ეტლი დუქანში მიაბარა, მცხეთის ვაგზლამდე მიირბინა; იქიდან კი მომხდარის*

შესახებ გვაცნობა. მაშინათვე განგაში გამოვაცხადე და კაზაკთა ასეულთან ერთად გავემგზავრე შემთხვევის ადგილზე, სადაც შევიპყარი შირიაევის მიერ დაჭრილი იმერელი, ხოლო გზის პირას ვიპოვე მოკლული ადამიანი. საბუთების მიხედვით გაირკვა, რომ ისინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კაცები იყვნენ. ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ორდენების მიტაცება სურდათ, ან კიდევ ჩვენი ეტლი საფოსტოში შეეშალათ.

- ეგ ამბავი მეც კარგად მახსოვს. შენ მითხარი, ამის იდუმალებით მოსილი თანასტანიცელები ვინ ოხრები არიან.

- აუცილებლად გემახსოვრებათ, 29 აგვისტოს ქალაქის საკრებულოშო გუბერნატორის თანდასწრებით მომხდარი არეულობის დროს ხალხის დასაშოშმინებლად გამოძახებულმა კაზაკებმა 26 ადამიანი მოკლეს და ორჯერ მეტი დაჭრეს.

- როტმისტრო, გუშინ ციდან კი არ ჩამოვვარდნილვარ. რას გეკითხებით და რას მპასუხობთ? ამ მამაძაღლის თანასტანიცელ კაზაკებს რა ჯანდაბა მოუვიდათ-მეთქი, თორემ ტფილისური ამბები თქვენზე ბევრად უკეთ ვიცი.

- ახლავე მოგახსენებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! საპასუხოდ მეორე დღეს, ანუ 30 აგვისტოს, ადგილობრივმა რევოლუციონერებმა სამხედრო შენაერთებში ბომბები ააფეთქეს. ყუმბარა ჩვენი ბადრაგის სადარბაზოშიც აფეთქდა; ერთი ჯარისკაცი გარდაიცვალა, 19 კი მძიმედ დაიჭრა. სწორედ მათ გულისხმობს ეს კაზაკი. 30 აგვისტოს გამო დაგეგმილი შურისძიების შესახებ ბევრი ლაპარაკობდა, მაგრამ ყურადღება იმიტომ არ მიმიქცევია, რომ რევანშის დღედ კონკრეტულ თარიღს _ 30 აგვისტოს _ ასახელებდნენ. იქამდე კი ჯერ დიდი დროა.

- გეთქვა მერე ასე თავიდან. რა მიეთმოეთი გამიმართე. ვერ გასწავლეთ პატაკის სხარტად ჩამოყალიბება. არაფერი თქვენ არ იცით. _ დატუქსა როტმისტრი ბიგაევი და კაზაკ კლადს მიუბრუნდა: _ მართალია, რასაც როტმისტრი ამბობს? 30 აგვისტოს გამო იძიე შური მშვიდობიან მოქალაქეებზე? გიმნაზიის მოსწავლეებს რაღას ერჩოდი? არ ნანობ შენს საქციელს?

- თქვენო მაღალკეთილშობილებავ, პოლკოვნიკო, მე მხოლოდ წითელბანტებიანი რევოლუციონერები დავხოცე და მათი სისხლით არასოდეს გავძღები; მიხნევის

ცხედართან ფიცი დავდე, აუცილებლად შევასრულებ.

- არამგონია, სამხედრო სასამართლოს განაჩენის შემდეგ რაიმე პირობის აღსრულება შეძლო. 14 ადამიანის მკვლელობაში გედება ბრალი. მაინც რაო, რა შეჰფიცე თანასტანიცელს?

- მიხნევის გარდაცვალების ყოველ წლისთავზე, 30 აგვისტოს, იმ ადგილზე, სადაც იგი მოკლეს, ერთ აქაურს მაინც უნდა მოვუღო ბოლო.

- ხედავთ, როტმისტრო, როგორ მიუშვით თვითდინებაზე თქვენი ასეული? რას ჰგავს ეს ყველაფერი? მართლმადიდებლური ქვეყნის ჯარისკაცები ვართ თუ წარმართები. მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსულ არმიაში კაზაკები ველურ შურისძიებაზე ლაპარაკობენ. ასე იცის უაზრო ხეტიალმა, დუქნებში ლოთობამ, ლაყბობამ და უსაქმურობამ. საქმეს მიხედეთ, როტმისტრო, საქმეს. _ გაბრაზებული პოდპოლკოვნიკი სკამიდან წამოდგა. _ გაეთრიეთ აქედან!

***

1905 წლის 22 ოქტომბერი ტრაგიკული დღე იყო ტფილისისთვის. ქალაქი 41 მოქალაქეს გლოვობდა.

იმ საღამოს მთელ გუბერნიაში არ მოიძებნა ადამიანი, ვინც ილია ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადს" გადაშლიდა და თუნდაც ერთ აბზაცს წაიკითხავდა.

ლოცვების და ფსალმუნების დრო იყო.

1905 წლის 22 ოქტომბრიდან 1907 წლის 30 აგვისტომდე ერთი წელი, ათი თვე და რვა დღე რჩებოდა.

კაზაკ კლადის განცხადება 30 აგვისტოს დაგეგმილი შურისძიების შესახებ და სწორედ 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმა უბრალო დამთხვევა იყო თუ არა, ამას დრო გამოაჩენს.

1907 წლის იანვარ-თებერვალი

ტფილისი-ელისავეტპოლი

რუსეთის იმპერია

დრო კი გამალებით გარბოდა და სულ მალე დადგა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წელი.

***

მხოლოდ მასზე განხორციელებული რიგით მეოთხე თავდასხმის დროს უმტყუნა ნერვებმა პრაპორშჩიკ ლოლაძეს;

ეს 1907 წლის 6 იანვარს მოხდა.

საღამოს ექვს საათზე ტფილისში ამაღლების ქუჩაზე მიმავალ ფაეტონს რევოლვერიდან რამდენჯერმე ესროლეს. ზურგში მძიმედ დაიჭრა მეეტლე პავლე კონცოვი: ტყვიამ მარცხენა მხარზე გაჰკრა ლოლაძის პირად მცველ საგულო ბალოევს.

ოთხივე მსროლელი საროსკიპოსკენ გაიქცა.

საღ-სალამათი პრაპორშჩიკი ფაეტონიდან გადმოხტა და თავდამსხმელებს გაეკიდა.

სროლის ხმაზე სარდაფში გამართული თონიდან ხაბაზი ამოდიოდა. სწორედ იმ წამს, როდესაც ლოლაძეს მის გვერდით უნდა ჩაერბინა, ინერციით მარჯვენა ფეხი წინ გადადგა;

კვანტი გამოუვიდა;

პრაპორშჩიკი ქვაფენილზე გაიშხლართა და ხელიდან რევოლვერი გაუვარდა. იმავე წამს წამოხტა, იარაღს დასწვდა; შეშინებულ ხაბაზს მოუტრიალდა და სახელური თავში სამჯერ ჩასცხო;

საკმარისი აღმოჩნდა;

თეთრ ფქვილში ამოგანგლული დასისხლიანებული მეპურე თავის სარდაფში ჩაგორდა.

- რამდენი ხართ. თქვენი დედა ვატირე! არ უნდა დამანებოთ თავი?! _ უკანასკნელ ხმაზე იღრიალა ლოლაძემ და ისიც საროსკიპოსკენ გაიქცა.

ვიდრე კარებში შევარდებოდა, ერთი ჰაერში გაისროლა.

ამასობაში საგულო ბალოევი დარწმუნდა, რომ ჭრილობა მსუბუქი იყო და უფროსის დასახმარებლად გაეშურა.

ცოტა ხანში ამაღლების ქუჩაზე შეკრებილი ცნობისმოყვარე საზოგადოება საინტერესო სანახაობის მოწმე გახდა.

წითელი ფარნებით დამშვენებული შენობიდან გინების, წივილ-კივილის, სროლის და შუშების მსხვრევის ხმა ისმოდა.

საროსკიპოს კარებიდან სუსხიან ამინდში ჯერ ხალვათად ჩაცმული ქალები და კაცები გამორბოდნენ, მერე კი შიშველ-ტიტვლებიც გამოჩნდნენ.

მხოლოდ პოლიციის ექვსკაციანმა რაზმმა შეძლო პრაპორშჩიკ ლოლაძის გაკოჭვა და მეძავთა სახლიდან გამოყვანა.

ნაახალწლევ ტფილისში ამ სევდანარევ სახალისო ისტორიას ჯერ მთელი ქალაქის შემოვლა ვერც კი მოესწრო, როდესაც პრაპორშჩიკ ლოლაძეზე მორიგი _ მეხუთე _ თავდასხმა განხორციელდა.

***

1907 წლის 9 იანვარს დღის ოთხ საათსა და 40 წუთზე ერივნის მოედნიდან მომავალი ფაეტონი სასტუმრო "კავკაზს" გამოსცდა, უკვე თამამშევის ქარვასლასა და ენფიაჯიანცის თამბაქოს მაღაზიას შორის იყო, როდესაც

აზიურ ბუფეტ "ტილიპუჭურში" შესასვლელი ბაქნიდან ბომბი ისროლეს.

ფაეტონში მჯდომი პრაპორშჩიკი ლოლაძე ჩამოხტა და ქარვასლის შუა კარებში მიმალულ ბანდიტს გაეკიდა. ბომბის მსროლელის თანამზრახველი ქარვასლასთან ახლოს მდებარე ზედგინიძის მაღაზიასთან იდგა და რევოლვერიდან გახსნილი ცეცხლით ცდილობდა მეგობარს დახმარებოდა.

თავდამსხმელები, ქარვასლის გავლით, პუშკინის ქუჩაზე გავიდნენ და მიიმალნენ.

აფეთქების შედეგად დაიჭრნენ გამვლელები: პოდპორუჩიკი დუმბაძე და ერთი ქალბატონი.

პრაპორშჩიკ ლოლაძეს არც ახლა გაეკარა ტყვია.

მას სიკვდილისგან მშობლიური ქალაქი იცავდა.

ლოლაძე რამდენიმე დღეში, 1907 წლის 23 იანვარს ორ საათზე ელისავეტპოლში მოკლეს რევოლვერიდან გასროლოლი ტყვიით, მისი მცველი საგულო ბალოევი იმ დღესაც მსუბუქად დაიჭრა.

ერთ თვეში ზედიზედ მესამე, ხოლო საერთო ჯამში მეექვსე, თავდასხმა საბედისწერო

გამოდგა პრაპორშჩიკ ლოლაძისთვის, მაგრამ ეს ისტორია არც ელისავეტპოლში დასრულებულა და არც _ 1907 წლის 23 იანვარს.

***

1907 წლის 6 თებერვალს მოსკოვში გამომავალმა გაზეთმა "რუსკოე სლოვომ" თავისი პატარა პუბლიკაციით ერთი უცნაური ინფორმაცია გააცნო მკითხველებს:

ტფილისი, 5 თებერვალი. გუშინ მოკლეს პრაპორშიკ ლოლაძის პირადი მცველი, ვინც ამ უკანასკნელის მკვლელობის დროს დაიჭრა. მსხვერპლს თავი აქვს მოჭრილი. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია წერილი: "უკეთესი მკურნალობის მიზნით გავამგზავრეთ აბსოლუტურ სიმშვიდეში." გვამი ნაპოვნია ქალაქგარეთ.

უცნაური არც მკვლელობები იყო და არც მკვლელების ცინიკური წერილი. კაცის კვლა და ცინიზმი ისე გაუჯდა რუსეთის იმპერიაში დამდგარ დროს, რომ ისინი დიდი ხანია არავის უკვირდა.

გაზეთში გამოქვეყნებულ ამ ჩვეულებრივ ქრონიკაში იყო ყველა დროის

პრაპორშჩიკებისთვის შურისმომგვრელი ინფორმაცია;

რუსეთის იმპერიაში მოქმედი ხარისხების ცხრილის მიხედვით უკანასკნელ, მეთოთხმეტე კლასის ჩინოვნიკს _ პრაპორშჩიკს _ ტფილისში პირადი მცველი ჰყოლია.

”ვეზიოტ ჟე გრუზინამ”. _ გაიფიქრებდა იქაური ობივატელი.

დაბალი რანგის მოხელის პატივისცემა მართლაც ასეთი უნდა;

მაგრამ ვერ უშველა სახელმწიფოს ზრუნვამ პრაპორშჩიკ ლოლაძეს და მისი მცველი საგულო ბალოევიც შეიწირა.

***

1907 წლის დასაწყისში განხორციელებული ამ ოთხი ტერორისტული აქტის უკან უცილობლად დრო იდგა; ოღონდ არა რევოლუციური, არამედ ნამდვილი, ხორციელი, ოცდაოთხი წლის დრო (დრასტამატ) მარტიროსის ძე კანაიანი.

მოკლული პრაპორშჩიკი კი იყო სწორედ ის ახლგაზრდა საიდუმლო აგენტი ტარიელ ლოლაძე, ვინც 1903 წლის 14 ოქტომბერს,

მთავარმართებელ გრიგორი სერგეევიჩ გოლიცინზე თავდასხმის დღეს, მამამისის სახლთან მორიგეობდა და ტერორისტების დახოცვაში ეხმარებოდა გოროდოვოის და სტრაჟნიკებს.

ცუდად დაიმახსოვრა მისი სახელი და გვარი მაშინ დუქნიდან გამოსულმა დრასტამატმა.

დრასტამატ(დრო) კანაიანი ახლა უკვე დროის შესაფერისი პროფესიონალი ტერორისტი იყო და ბრძანებებს შეძლებისდაგვარად ასრულებდა;

ზოგჯერ, როდესაც საქმე არ ჰქონდა, ბრძანების გამცემს იმ ადამიანების სიას შეაპარებდა ხოლმე, ვისი განადგურებაც თავად მიაჩნდა საჭიროდ.

აბა ტყუილად ხომ არ მოცდებოდა.

***

ტფილისში, მთაწმინდის ფერდობზე, პეტრე დიდის ქუჩაზე მდებარე მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიაში თავის კაბინეტში მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა საგანგებო განყოფილების უფროსი,

პოლკოვნიკი ვასილი ალექსანდროვიჩ ბაბუშკინი; ხელში პეტერბურგში, პოლიციის დეპარტამენტში, გასაგზავნი წერილი ეჭირა;

სხვა თუ არაფერი, უბრალოდ უწყებრივი ღირსების საქმე იყო თანამშრომლის, ჟანდარმერიის პრაპორშჩიკ ტარიელ ლოლაძის, მკვლელობის გამოძიება.

არადა კვალი ცუდ ადგილზე მიდიოდა.

პოლკოვნიკ ბაბუშკინს წესად ჰქონდა უფროსობასთან წარსადგენი დოკუმენტაცია რამდენჯერმე წაეკითხა; ყოველთვის პოულობდა ისეთ ნიუანსებს, რაც კორექტირებას მოითხოვდა. ახლა კი მთლიანად წერილის გაგზავნის მიზანშეწონილობაზე დაფიქრდა. უკვე მეექვსედ კითხულობდა:

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს,
პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს

მაქსიმილიან ივანოვიჩ ტრუსევიჩს

თქვენო აღმატებულებავ

ჩვენი უწყების ხელთ არსებული ცნობებით, არქიმანდრიტი კორიუნი პარტია

”დაშნაკცუთიუნის” ელისავეტპოლის ცენტრალური კომიტეტის წევრია. ამავე დროს ირიცხება ვაღარშაპატში ეჩმიაძინის სინოდთან არსებულ ორგანიზაცია ”პატორიკში”, რომლის თავმჯდომარეა რევოლუციური მოღვაწეობით ცნობილი ეპისკოპოსი აშოტი.

აგენტურული მონაცემებით, სწორედ კორიუნმა დაამტკიცა: ჟანდარმთა კორპუსის როტმისტრ აპელისთვის, სასაზღვრო დაცვის პოდპოლკოვნიკ სახაროვისთვის, პრაპორშჩიკ ლოლაძისთვის და სხვებისთვის _ პარტიის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენები. კორიუნი განსაკუთრებით დევნის იმ სომხებს, ვინც არ აღიარებს ”დაშნაკცუთიუნის” ავტორიტეტს. კორიუნის ინიციატივით მოკლულია ბევრი ამგვარი ადამიანი ...

პოლკოვნიკმა ბაბუშკინმა კითხვა შეწყვიტა და წერილი გვერდზე გადადო.

კიდევ ერთხელ აიღო მთავარმართებელ გოლიცინის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრ პლევესადმი 1904 წლის 13 მაისს გაგზავნილი წერილის ასლი;

თვალი გადაავლო:

ვაღარშაპატში არსებული კავკასიის სომხური რევოლუციური კომიტეტის განყოფილება პრაქტიკულად შეერწყა ლეგალურად არსებულ კათოლოკოსის კანცელარიას და მისი მეშვეობით ხორციელდება კავშირი კათოლიკოსსა და რევოლუციონერებს შორის.

... ამ მოძრაობის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელია თავად კათოლოკოს-პატრიარქი, ვისი სახელითაც მოქმედებენ მოძრაობის აქტივისტები ...

ბაბუშკინმა ფურცელი მაგიდაზე დადო და კიდევ ერთი დოკუმენტი აიღო; მას ხელს აწერდა კავკასიაში პოლიციის გამგებელი გენერალ ე. ნ. შირინკინი და თარიღდებოდა 1906 წლის 9 იანვრით:

სომეხთა კათოლოკოსმა თურქეთში დაზარალებული სომხების დასახმარებლად შემოწირულობათა შესაგროვებლად დაშნაკისტებს დაურიგა თავისი ბეჭდით დადასტურებული წიგნაკები. სინამდვილეში კი ამგვარი გზით მიღებული თანხები ორგანიზაცია "დაშნაკცუთიუნის" განკარგულებაში გადადის ...

პოლკოვნიკმა ბაბუშკინმა შირინკინის წერილის ასლი საქაღალდეში ჩააბრუნა და დაფიქრდა.

მისი, გოლიცინის და შირინკინის წერილების შინაარსი ერთ რამეში ემთხვეოდა. სამივეგან საუბარია სომეხი რევოლუციონერების და სომეხთა ეკლესიის კავშირზე. გოლიცინი კავკასიის მთავარმართებელი იყო, შირინკინი _ კავკასიის პოლიციის შეფი, ბაბუშკინი კი მხოლოდ პოლკოვნიკია, რომელიც გენერლის ჩინის მოპოვებას ცდილობდა და ამ ეკლიან გზაზე ფრთხილად უნდა ევლო. მით უმეტეს, თუკი, ღვთის წყალობით, ისეთ ინფორმაციასაც ფლობდა, რომელზეც ცოტას თუ მიუწვდებოდა ხელი. ბაბუშკინმა იცოდა, რომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის კუთვნილ კასპიის ნავთობით მდიდარ მიწებს რეწვისთვის იყენებდნენ ძმები ნობელები. ნობელების კომპანიის აქციების მნიშვნელოვან პაკეტს ფლობდნენ ეროვნებით სომეხი მილიონერები: ძმები გუკასოვები და ალექსანდრე მანთაშოვი. ერთნიც და მეორეც მნიშვნელოვნად აფინანსებდნენ ”დაშნაკცუთიუნს”. ანუ რა გამოდიოდა? კავკასიაში მეფისნაცვლის ფინანსური პარტნიორები და კომპანიონები იყვნენ ”დაშნაკცუთიუნის” ეგრეთწოდებული ”დამხმარე წევრები.” გრაფინია ელისავეტა

ანდრეევნას სომხებისადმი კეთილგანწყობა ხომ ყველასთვის ნათელი იყო; ხოლო ამ კეთილგანწყობის საფუძვლების შესახებ ჟანდარმერიაში შემოსული დასმენითი ბარათები სწორედ ბაბუშკინის კაბინეტში იყრიდა თავს; მერე სპეციალურად მოდიოდა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო დავალებათა ოფიცერი პოდპოლკოვნიკი კეტხუდოვი და ამ დოკუმენტებს აქვე ანადგურებდნენ.

პოლკოვნიკმა ბაბუშკინმა ისიც იცოდა, რომ ტფილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი ყველა ოფიციალური წერილი ჯერ კეტხუდოვის ხელში ხვდებოდა, ცენზურას გადიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდებოდა საფოსტო უწყებას. ბოროტი ხმები ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო დავალებათა ოფიცრის და მისი თანამემამულეების რევოლუციური ორგანიზაციების ფარულ კავშირზეც დადიოდა. წარმოიდგინა, რა რეაქცია ექნებოდა ამ წერილის დანახვაზე პოდპოლკოვნიკ კეტხუდოვს და საჭირო დასკვნა გააკეთა;

პოლიციის დეპარტამენტში მისი ხელმოწერით გასაგზავნი მოხსენებითი ბარათი ცალკე საქაღალდეში ჩადო.

თანამშრომლის ტრაგიკული დაღუპვა ერთია, სამსახურებრივი ღირსება _ მეორე, საკუთარი კარიერა და კეთილდღეობა _ მესამე; არც ზედმეტი თავისტკივილია სათვალავში არჩასაგდები.

პოლკოვნიკ ბაბუშკინის მიერ იმ დღეს სეიფში შენახული წერილის მსგავს მოხსენებით ბარათს 1908 წლის 23 ოქტომბერს პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნის კავკასიის რაიონული ოხრანკის შეფის თანამდებობაზე დანიშნული, პეტერბურგიდან ტფილისში ახალი ჩამოსული და დიდ გულზე მყოფი პოლკოვნიკი ალექსანდრ მიხაილოვიჩ ერიომინი. იგი ყველა ღონეს იხმარს არქიმანდრიტ კორიუნ საოპნიანცის ციხეში ჩასასმელად.

ერთია სამსახურებრივი კეთილსინდისიერება, ხოლო მეორე _ გამოცდილების და სიფრთხილის ერთობლიობა, მაამებლობის ჩათვლით.

1907 წლის ივლისი

ელისავეტპოლი-ალექსანდროპოლი

რუსეთის იმპერია

ვენაში გამართულმა ”დაშნაკცუთიუნის” ყრილობამ მხარი არ დაუჭურა სხვა პარტიების ინიციატივას ტერორის პოლიტიკურ იარაღად არგამოყენების შესახებ და ესერებთან ერთად ერთგული დარჩა ძველი პრინციპებისა. თუმცა ევროპაში შეკრებილმა დროშაკისტება დროს ანგარიში მაინც გაუწიეს და მისი მოთხოვნები მცირედით გაიზიარეს;

გადაწყდა, ამიერიდან მხოლოდ იმპერიის მაღალჩინოსნები დაეხოცათ.

თამასაც ღირსულ სიმაღლეზე დაადგინეს.

სტოლიპინი.

რა თქმა უნდა ცოტა ზემოთაც შეიძლებოდა და ოდნავ ქვემოთაც დასაშვები იყო.

ზემოთ იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იყო; ქვედა ზღვარი კი სამხედროებში გენერალიტეტით, ხოლო სამოქალაქო პირებს

შორის სახელმწიფო საბჭოს წევრებით განისაზღვრა.

***

არქიმანდრიტი კორიუნი ელისავეტპოლის წმინდა ოვანესის ეკლესიის ბნელ კელიაში იჯდა და ფიქრობდა.

მხოლოდ გაუცნობიერებელ ადამიანებს ეგონათ, რომ იგი ღვთისმსახურებას და რევოლუციურ საქმეებს ერთმანეთს უხამებდა. სინამდვილეში კორიუნისთვის სომხეთი და სომხობა სომხური სამოციქულო ეკლესიის მოქმედების სივრცე და ამ სივრცეში მცხოვრები ის მრევლი იყო, რომელსაც ეკლესიის კანონებით და ეკლესიის გაფართოებისთვის უნდა ეცხოვრა და მომკვდარიყო. ვინც სომხური ეკლესიის დიდებას უპირისპირდებოდა, იგი მტერი იყო.

კორიუნი ძველებურად აზროვნებდა; მისთვის რელიგია და ერი ერთსადაიმავეს ნიშნავდა. მისთვის ღვთისადმი მსახურების წესით შეკრული ადამიანთა ერთობლიობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ერთი გაბატონებული ეთნოსის მიერ სამრეწველო კაპიტალით შედუღაბებული ეროვნულობა.

დიადი სომხეთის შექმნაში ხელისშემშლელი ისეთი წვრილფეხობის განადგურებით, როგორებიც იყვნენ: პრაპორშჩიკი ლოლაძე, როტმისტრი აპელი ან თუნდაც პოლკოვნიკი სახაროვი _ მართლაც დიდი ვერაფერი ხეირი გამოდნა; ეფექტური არც თათარ გლეხებსა თუ მუშებზე თავდასხმები გამოდგა. ფული და ნერვები კი ბევრი დაიხარჯა. ხუმრობა საქმეა, ვიღაც პრაპორშჩიკის განადგურების გამო ექვსი თავდასხმის მომზადება?!

ახლა აქცენტი მოწინააღმდეგის ცნობილ და მნიშვნელოვან პიროვნებებზე უნდა გადაეტანათ; შესაბამისად, მეტი ადამიანი იგრძნობდა სომხობის ძალას; ამგვარი ქმედებები ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა და ნაკლები ხარჯებითაც განხორციელდებოდა. თავის დროზე ოსმალეთში ჩატარებული მსხვილმასშტაბიანი ტერორისტული აქტები უკუშედეგით დასრულდა; 1896 წელს ოტომანთა საერთაშორისო ბანკზე თავდასხმის საპასუხოდ, თურქებმა ექვსი ათასამდე სომეხი გაწყვიტეს; აბდულ-ჰამიდზე თავდასხმის მომზადებას ქრისტოფორ მიქაელიანცის სიცოცხე შეეწირა. სამაგიეროდ "დაშნაკცუთიუნის" ბიჭების მიერ რუსეთის იმპერიაში ბაქოს გუბერნატორ მიხეილ ნაკაშიძის ლიკვიდაციაზე დღემდე

ლაპარაკობენ. ბევრს, მათ შორის ქართველებსაც, სომეხი შურისმაძიებლების ფარული შიში შეეპარა.

იმას, რაც არაეფექტური იყო ოსმალეთში, კარგი პირი უჩანდა რუსეთის იმპერიაში.

არქიმანდრიტი კორიუნი მზად იყო ახალი დროისთვის ნაბიჯი აეწყო და დრო კანაიანთან შესახვედრად ემზადებოდა.

1907 წლის 3 ივლისის ღამე ახლოვდებოდა.

შორს არც 1907 წლის 30 აგვისტოს დილა იყო.

***

ალექსანდროპოლში განლაგებული ყაბარდოული პოლკის ოფიცერთა კრება გვიან ღამით დამთავრდა. გენერალი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი თავის თექვსმეტი წლის ვაჟთან ერთად ეტლში ჩაჯდა და პოლკის ტერიტორია უნდა დაეტოვებინა, როდესაც გენერალმა გლებოვმა დაუძახა და, რადგანაც თვითონ ნაწილში მორიგედ რჩებოდა, სთხოვა მეუღლე და თვრამეტი წლის ქალიშვილი სახლამდე მიეყვანა.

ღამის სამის ნახევარზე ბებუთოვის ქუჩაზე ეტლს ორი ბომბი ესროლეს. აფეთქების ძალა

იმდენად ძლიერი იყო, რომ ეკიპაჟი შემოატრიალა.

დაიღუპნენ: გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, გენერალ გლებოვის მეუღლე და მეეტლე გრიგორი ჩიჟოვი.

დრო კანაიანი თავის კაცებთან ერთად მიიმალა.

მესამე დღეს 6 ივლისს მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი მუსულმანური ტრადიციების დაცვით და დიდი სამხედრო პატივით დაასაფლავეს.

ტრაგიკულმა სიკვდილმა იგი სახალხო გმირად აქცია.

კავკასია პატარა მხარეა. აქ ყველამ ყველაფერი იცის. ხალხი "დაშნაკცუთიუნის" მიერ მოკლულ ქალზე და დაჭრილ ბავშვებზე ალაპარაკდა.

ქალის მოკვლა კავკასიაში ყოველთვის დიდი სირცხვილი იყო.

კორიუნი მიხვდა, რომ ტერორისტული აქტის დროს მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ.

***

არქიმანდრიტ კორიუნის და დრო კანაიანის მორიგი შეხვედრა ელისავეტპოლის წმინდა ოვანესის ეკლესიაში შედგა.

დრასტამატი უკვე კარებში გადიოდა, როდესაც არქიმანდრიტმა დაუძახა:

- სულ მაინტერესებდა და ვერ გკითხე; რა წიგნი გაგირჭვია ქამარში?

- ამაზე მეკითხებით? ეს ერთი ქართველი კაცის ნაწარმოებია.

- არა თქვა, ქართული წერა-კითხვა ვისწავლეო. ყოჩაღ.

- წიგნი რუსული თარგმანია.

- და რა წერია შიგ შენთვის საინტერესო.

- ბევრი რამ; ძირითადად სომხებზე ამბობს ცუდ რამეებს.

- კაი, კაცო. მოდი, დამიტოვე და შემდეგ შეხვედრაზე დაგიბრუნებ.

- როგორც მიბრძანებთ. აი ინებეთ. რაღაც-რაღაცებს წითელი ხაზი გავუსვი, ცოტა სქლად კი გამომივიდა, მაგრამ არაუშავს, იკითხება.

- მიგიხვდი; გული მიგრძნობს, მე სწორედ ის ხაზგასმული ადგილები დამაინტერესებს. _ კორიუნმა წიგნი გამოართვა, ყდას დახედა და ხმამაღლა წაიკითხა: И, Г, Чавчавадзе, АРМЯНСКИЕ УЧЕНЫЕ И ВОПИЮЩИЕ КАМНИ, перевод с грузинского Н. И. Алексеева-Месхиева, Тифлис, 1902. _ დრასტამატ, ვინ არის ეს ილია ჭავჭავაძე?

- ეგ კაცი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრია ...

***

არქიმანდრიტმა კორიუნმა დრო კანაიანის მიერ დატოვებული წიგნისთვის გვიან ღამე მოიცალა. თავიდან წითელი ფანქრით ხაზგასმულ ადგილებს გადაავლო თვალი:

ვინ იცის, რა ბუკსა და ნაღარას დაჰკრავს, რა საყვირს დააყვირებს ამ წერილების გამო იგი გუნდი, რომლის მხილება ჩვენს სახეში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია მათ შესახებ ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს ...

”ნუთუ მე მგულისხმობს”. _ გაიფიქრა კორიუნმა და შემდეგ ხაზგასმულ ადგილს დაუწყო ძებნა:

... ჩვენ ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოვუჩხრიკავთ, თუნდაც ცალიერი ბაქიობა იყოს. თუ საქებ-სადიდებელი აქვთ რამე ღმერთმა შეარჩინოთ. თუ არა აქვთ, ღმერთმა მისცეთ. ჩვენ მარტო იმას ვჩივით, რომ სომხის მაქებარ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი ...

... დროა ნიღაბი ავხადოთ იმ ერთ გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად. დროა გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღბოდ, უფერუმარილოდ. დროა ვიცოდეთ, საიდამ დაგვყეფს ჩვენ ჩვენი შავი ყორანი, საიდამ მოდის ეს ქვა-სეტყვა ჩვენს თავზე ...

არქიმანდრიტი კორიუნი წამით ჩაფიქრდა. ეს წიგნი ნამდვილად იმსახურებდა იმას, რომ თავიდან ბოლომდე წაეკითხა და მხოლოდ დრო კანაიანის საეჭვო გემოვნებას არ მინდობოდა.

***

უკვე თენდებოდა, როდესაც კორიუნ საოპნიანცი ილია ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადის" უკანასკნელ სტრიქონებს კითხულობდა:

ჩვენ სომხებისა არა გშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი _ ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. მას აქეთ, რაც ვახტანგმა გორგასლანმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მოიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი. მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოსეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ ეშველათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩვენს მეფეებს არ ესმოდათ _ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის სომხეთის არსებობას. დაეცა სომხეთი და სომხეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად. თუმცა სომხეთის დაცემის შემდეგ მთელი თითქმის შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერს მტრებსა, მაგრამ

მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვღალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტვას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა.

განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენის სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. "მტრისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია"_ ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი.

ბოლო ფრაზებმა ოდნავ მოულბო გული არქიმანდრიტ კორიუნს. წიგნი დახურა და დაფიქრდა.

დრო კანაიანის სიტყვები გაახსენდა:

”ეგ კაცი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრია.”

მერე ილიას წიგნი ისევ გადაშალა და კიდევ ერთხელ წაიკითხა:

”მტრისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია” _ ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი.

- იტყვის, პატივცემულო ილია, აუცილებლად იტყვის; გონიერი სომეხი. _ თავისთვის ჩაილაპარაკა არქიმანდრიტმა.

1907 წლის პირველი აგვისტოს დილა თენდებოდა. არქიმანდრიტ კორიუნ საოპნიანცს გაახსენდა, რომ მისი საქმე ლოცვა იყო და სამზადისს შეუდგა.

30 დღეში ილია ჭავჭავაძეს მოკლავენ.

ილია მოკლეს.

1907 წლის 30 აგვისტოს დღისით დაახლოებით თორმეტ საათზე წიწამურის ტყეში მოკლეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამოცდაათი წლის მოხუცი თავადი ილია ჭავჭავაძე.

წიწამური დუშეთის მაზრაში შედიოდა. მაზრის უფროსის ყარამან ფაღავას უშუალო მოვალეობა იყო ყველაზე ადრე გაერკვია ამ დანაშაულის დეტალები და მოხსენებითი ბარათით მიემართა ტფილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორისთვის. მან ეს გააკეთა კიდეც, ოღონდ მხოლოდ მეორე დღეს, 31 აგვისტოს, და ასე ახსნა დაგვიანება:

ამასთან მოგახსენებთ, რომ პატაკის დაგვიანებით წარმოდგენა მოხდა იმიტომ, რომ ადგილზე არ იყო ერთადერთი და მთავარი მოწმე მეეტლე თედო ლაბაური, რომელმაც თავადი ზაალ ჭავჭავაძე ტფილისში წაიყვანა და ამ დრომდე არ მობრუნებულა.

ყარამან ფაღავას პატაკში მკვლელების შესახებ მწირი ინფორმაცი იყო:

ურიადნიკ ემეცისთვის თედო ლაბაურს უთქვამს, რომ ბოროტგანმზრახველებს ეცვათ ოფიცრისსამხრეებიანი რუხი კიტელები, იყვნენ 22-26 წლის ახალგაზრდები, ლაპარაკობდნენ რუსულად.

მკვლელობის ერთადერთი მოწმის თედო ლაბაურის დაკითხვა მხოლოდ 3 სექტემბერს მოახერხა გამოძიებამ.

იმ დღეს მას უკვე ბრალდებულის სტატუსი ჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფერდზე თოფის ლულის დარტყმის კვალი არ ემჩნეოდა.

***

მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ილიაშენკო საშტატო მთარგმნელ კოზოტოვთან ერთად ეტლში იჯდა და სოფელ საგურამოდან ტფილისში ბრუნდებოდა.

ნიკოლოზ ილიაშენკო კმაყოფილი იყო.

თედო ლაბაურმა კარგი ჩვენება მისცა;

დეტალურად აღწერა თავდამსხმელთა ჩაცმულობა, გარეგნული ნიშნები და ეროვნებაც დაასახელა. ეს არ იყო ყველაფერი, მაგრამ გამოძიების საწყის ეტაპზე შემდეგი მოქმედებების საშუალებას იძლეოდა. საქმეს ისეთი სუნი აუვიდა, შესაძლოა, ჟანდარმერიის კარტოთეკაში რამე კვალს დადგომოდა კაცი.

ნიკოლოზ ილიაშენკოს ახლა სწორედ იქ მიეჩქარებოდა.

გამომძიებელმა საქაღალდედან ოქმი ამოიღო და კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხა:

ოქმი

3 სექტემბერი 07 წ. სოფ. საგურამო. ტფილისის სამხარეო სასამართლოს მნიშვნელოვან საქმეთა სასამართლო გამომძიებელმა ილიაშენკომ, 403-407 მუხლის თანახმად, საშტატო მთარგმნელ კოზოტოვის მეშვეობით, ბრალდებულის სახით დაკითხა ქვემორედასახელებული და მან აჩვენა:

გვარი, სახელი, მამის სახელი _ ლაბაური თედო ზაქარიას ძე

ასაკი _ 29 წლის

სარწმუნოება _ მართლმადიდებელი

ეროვნულობა _ ქართველი

დაბადების ადგილი - სოფ. საგურამო, დუშეთის მაზრა, ტფილისის გუბერნია

ჩაწერის ადგილი _ იქვე

საცხოვრებელი ადგილი _ იქვე

დაბადება _ კანონიერი

წოდება _ გლეხი

ნასამართლობა _ ნასამართლევი არ არის

დაზარალებულისადმი დამოკიდებულება _ ილია ჭავჭავაძესთან მსახურობდა მეეტლედ

ოჯახური მდგომარეობა _ უცოლო

შემდეგ ბრალდებულმა აჩვენა: ამა წლის 30 აგვისტოს ტფილისიდან საგურამოსკენ მიმავალ გზაზე თავად და თავადის ქალ ჭავჭავაძეებზე და მათ ლაქია იაკობ ბითარაშვილზე ყაჩაღური თავდასხმის ხელშეწყობაში, რის შედეგადაც პირველი და უკანასკნელი მოკლულია, ხოლო მეორე მძიმედაა დაჭრილი, თავს დამნაშავედ არ ვაღიარებ. გასამართლებლად განვმარტავ: ორშაბათს 27 აგვისტოს თავადთან და

თავადის ქალთან ერთად საგურამოდან ტფილისში გავემგზავრე, ხოლო ხუთშაბათს 30-ში უკან ვბრუნდებოდით. ქალაქიდან გამოვემართეთ, როგორც მე ვფიქრობ, 11 საათზე, ამას ვამბობ ვარაუდით, რადგან საათი არ მაქვს. ტფილისიდან საგურამომდე სამი საათის გზაა. როდესაც მცხეთის დუქნებს ჩავუარეთ, ურმებს გადავუსწარი. ფაეტონით მგზავრობდნენ თავადი და თავადის ქალი, პირველი იჯდა მარცხენა მხარეს, მეორე - მარჯვნივ. კოფოზე ჩემს გვერდზე იჯდა ლაქია იაკობი. ამ უკანასკნელს ჰქონდა რევოლვერი და ხელში ეჭირა თოფი "ცენტრალკა", რომელიც მეზაღისთვის მიგვქონდა. როდესაც საგურამომდე 4 ვერსის მანძილზე გზაზე არსებულ ხატის ნიშს გავუსწორდით, ჩვენგან მარცხენა მხარეს მაღლობზე მდებარე ბუჩქებიდან გზის ნაპირზე გამოვიდა 4 ადამიანი და დამიძახეს "სტოი". ყველას ეცვა მაღალი ჩექმები, ოფიცრისსამხრეებიანი თეთრი კიტელები და თეთრი ფაფახები. შესახედავად: ერთს 28 წელს მისცემდა კაცი, მეორეს _ 29-ს, მესამეს _ 32-ს, მეოთხეს _ 33-ს. ყველანი იყვნენ შავგვრემანები, ამასთან ორი წვერ-ულვაშს ატარებდა, დანარჩენები _ მხოლოდ ულვაშს. ერთს განსაკუთრებით პატარა ულვაში ჰქონდა. სიმაღლის მიხედვით ერთი იყო

საშუალო, ხოლო დანარჩენები უფრო მაღლები იყვნენ. შესახედავად მომეჩვენა, რომ ისინი იყვნენ სომხები. პირველს ხელში ეჭირა თოფი, ამასთან ორ სხვას ჰქონდა ბერდანკები, მათ შორის ერთი "ცენტრალკა", უკანასკნელს, მე მგონი, _"პისტონკა". როგორც კი გაისმა "სტოი", თავადმა წამოიძახა მხოლოდ ორი სიტყვა: "გააჭენე სწრაფად". ცხენები გავაჭენე, მაგრამ ნაპირა იყო სუსტი, ცუდად მიდიოდა, ამიტომაც გამოდევნდებულებმა ცხენებს გადაუსწრეს, აღვირში სწვდნენ და ეკიპაჟი გააჩერეს. ამის შემდეგ მათ ერთი გამოეყო, მარჯვნიდან მომიახლოვდა და კოფოდან ჩამომაგდო. როდესაც დავეცი, თოფის ლულა გვერდში მატაკა, მხოლოდ მსუბუქად, რადგანაც უფრო იმ ხალათს გაარტყა, რომელიც მეცვა. ამ დროს იაკობი კოფოდან ჩამოხტა, გზა გადაკვეთა და მარცხენა მხარეს ბუჩქებისკენ გაიქცა. მაშინ ჯერ კიდევ ცხენებთან მყოფმა სამმა თავდამსხმელმა მიატოვა ისინი და ეკიპაჟს მარცხნიდან შემოუარა, ამასთან ერთი იაკობს გაეკიდა. იმან, ვინც კოფოდან ჩამომაგდო, ცხენებს შემოურბინა და ფაეტონის მარცხენა მხარეს აღმოჩნდა. მიწაზე დავარდნის შემდეგ მაშინათვე ავდექი და ვიდექი იმავე ადგილზე. როგორც კი თავდამსხმელები ეკიპაჟის მარცხენა მხარეს აღმოჩნდნენ, გაისმა სროლის

ხმა. ისროდა ერთი იმათგანი, ვისაც ბერდანკა ჰქონდა და ესროდა პირდაპირ მისგან გვერდზე და წინ ხუთი ნაბიჯის მანძილზე მჯდომ თავადს. თავადი, არ ვიცი რატომ, მაშინათვე გადმოვარდა ფაეტონიდან გზაზე; რადგანაც თავადის ქალი ჯერ კიდევ ფაეტონში იჯდა, შემეშინდა, რომ ცხენები გაიჭრებოდნენ, წინ გავირბინე და აღვირით დავიჭირე. ამასობაში იმ მხრიდან საითკენაც იაკობი გაიქცა, სამი გასროლა გავიგონე და დავინახე, როგორ შემოუარა ერთმა ფაეტონს უკნიდან და იმყოფებოდა მარჯვენა მხარეს ანუ იმ მხარეს, სადაც იჯდა თავადის ქალი. არ შემიმჩნევია, რომ ამ კაცმა რაიმე დარტყმა მიაყენა თავადის ქალს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან მას უბიძგა (თუმცა მე არ მინახავს), რადგანაც თავადის ქალიც ფაეტონიდან სწორედ იმ მხარეს გადავარდა, სადაც იწვა თავადი. უკვე ფაეტონში არავინ იყო, ცხენებს ხელი გავუშვი და ისე ვიდექი. იმას, ვინც იაკობს გაეკიდა, ხელში "ცენტრალკა" ეჭირა. როგორ ისროდა არ მინახავს, არც ის მინახავს ისროდა თუ არა იაკობი. როდესაც დაბრუნდა ის, ვინც იაკობს ესროლა, მის ხელში არაფერი შემიმჩნევია. ამის შემდეგ დავინახე, როგორ აიღო ერთ-ერთმა თავდამსხმელმა პატარა ჩემოდანი, ხოლო როგორ აიღეს დიდი ჩემოდანი მე არ მინახავს. კიდევ დავინახე,

როგორ გაჩხრიკეს მწოლიარე თავადი, მაგრამ თავადის ქალის გაჩხრეკა მე არ დამინახავს, იგი არ გაუჩხრეკიათ. შემდეგ თავდამსხმელებმა ფაეტონს უკნიდან შემოუარეს, გზიდან მაღლობზე ავიდნენ და ტყეში მიიმალნენ. ამ დროს მე კვლავ ცხენების წინ ვიდექი, მათ ჩემთვის ხელი არ უხლიათ და ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ძაღლის შვილი მიწოდა იმან, ვინც კოფოდან ჩამომაგდო, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც მაგდებდა, მან მაშინ მითხრა: "ძაღლის შვილო, რატომ არ გააჩერე, როდესაც დაგიძახეთ "სტოი". როდესაც თავდამსხმელები მიიმალნენ, გზას სახლის მიმართულებით გავუყევი, რათა ეს ამბავი მეცნობებინა, მაგრამ სწორედ მანამდე, ვიდრე მოურავს და სტრაჟნიკებს შევხვდებოდი, ტყისკენ გადავუხვიე ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამის გამო გამოვედი მათთან შესახვედრად ტყიდან. სახლში სწრაფად მისასვლელად ცხენზე იმიტომ არ შევჯექი, რომ დავიბენი და ვერ მოვიფიქრე. შეხვედრისას მოურავს ვუთხარი, რომ მოხდა ასეთი უბედურება და თავადი მოკლეს. იაკობს რა მოუვიდა არ მინახავს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოურავი და სტრაჟნიკები მოვიდნენ, ვნახე, რომ იაკობი მოკლულია.

თავდამსხმელებმა სულ ოთხჯერ ისროლეს; ერთჯერ თავადისკენ და სამჯერ იმ მხარეს, საითკენაც იკობი გაიქცა. მათ სხვა იარაღი, გარდა თოფებისა, არ ჰქონდათ, რევოლვერები, ხანჯლები არ მინახავს. ლაპარაკობდნენ რუსულად. მართალია, მე რუსულად არ ვლაპარაკობ, მაგრამ აქცენტით შემიძლია განვასხვავო წმინდა რუსები ლაპარაკობენ თუ არა. მე მესმოდა, რომ ის ადამიანები იმგვარი აქცენტით ლაპარაკობდნენ, როგორითაც რუსულად ლაპარაკობენ სომხები. როგორც კი ტყიდან თავდამსხმელები გამოვარდნენ, ჩემს მარცხენა განაპირა ცხენს ღვედი გაუწყდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ _ პირველი: ცხენს შეეშინდა და სწრაფად დაქაჩა, მეორე: ღვედი ძველი იყო. თავდამსხმელების მიერ ეტლიდან წაღებულია ორი ჩემოდანი და ერთი ტომსიკა შაქარი. თუ თავდამსხმელებს წარმომიდგენთ, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიცნობ, თუმცა არა, თუ მათ ახლავე წარმომიდგენთ, ვიცნობ, ხოლო თუ _ მომავალში, მაშინ ვერ ვიცნობ.

ჩვენება წაკითხულია, წერა-კითხვის უცოდინარია. ქართულიდან მთარგმნელი ა. კოზოტოვი.

***

ილიაშენკომ სამუშაო დღის დამთავრებამდე მოასწრო ქალაქში ჩამოსვლა.

ტფილისის საზოგადოება პირველი დღიდანვე საუბრობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პოლიტიკურ სარჩულზე; ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ძარცვის სიმულაცია დანაშაულის კვალის წასაშლელად მოხდა. მეეტლე ლაბაურის ჩვენება სწორედ ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებდა. ახლა ილიაშენკოს უპირველესი ამოცანა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოტივით მკვლელობის უშუალო შემსრულებლების სიტყვიერი პორტრეტების ოხრანკის კარტოთეკაში დაცულ მონაცემებთან შედარება.

ტფილისის ჟანდარმერიის განყოფილება სასამართლოს ქუჩაზე მდებარეობდა. დამნაშავეთა სამყაროს აღრიცხვას, მათი სიტყვიერი პორტრეტების შედგენას რუსეთის იმპერიაში კარგა ხნის ტრადიცია ჰქონდა. აი რევოლუციონერების და ბომბისტების: სიტყვიერი და ფოტო _ პორტრეტების კატალოგიზაცია კი ახალი დაწყებული იყო.

ილიაშენკოს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. მით უმეტეს, მეეტლე ლაბაურის პირველი დაკითხვის

შედეგად საძიებელ პირთა წრე სოლიდურად შევიწროვდა.

ისეთი პირი უჩანდა, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობის საქმის სწრაფი გახსნით ყველა სტრუქტურა იყო დაინტერესებული. მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის უშუალო მითითებით გამომძიებლებს უწყებრივი ბარიერების გადალახვა არ უნდა გასჭირვებოდათ. ჟანდარმერიაში მისულ სასამართლოს გამომძიებელს სასურველი კარტოთეკის კარი უპრობლემოდ გაუღეს.

ილიაშენკოს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული საძიებელ პირთა მინიმალიზაციის კრიტერიუმები: ეროვნება _ სომეხი, სქესი _ მამაკაცი, ასაკი _ ოცდან ორმოცი წლის ფარგლებში.

გამომძიებლის თადარიგი სრულიად ზედმეტი გამოდგა.

ეროვნებების მიხედვით შედგენილი კატალოგი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა, მაგრამ ამა თუ იმ პარტიის ქვეყნისთვის არასაიმედო წევრების მონაცემები ხელმისაწვდომი აღმოჩნდა და ნიკოლოზ ილიაშენკოს "დაშნაკცუთიუნის" წარწერიანი თხელი საქაღალდე მაგიდასთან მიართვეს;

მიხვდა, რომ ტყუილად ეშინოდა ზღვა მასალაში ჩაკარგვის. თუკი ჩვეულებრივი ბოროტმოქმედების კარტოთეკა საკმაოდ ვრცელი იყო, პოლიტიკურ ტერორისტთა მონაცემები ერთობ მწირად გამოიყურებოდა.

საქაღალდე გახსნა. პირველსავე ფურცელზე "დაშნაკცუთიუნის" არასაიმედო წევრების სია დახვდა; სულ თერთმეტი კაცი:

1. ავეტის აგარონიანცი

2. ოვანეს არგუთიანცი

3. არმენ გარო

4. ნიკოლ დუმანი

5. დრასტამატ კანაიანი

6. არამ მანუკიანცი

7. ქრისტოფორ მიქაელიანცი

8. გარეგინ ტერ-არუთუნიანცი

9. მურად საბასტაცი

10. კორიუნ საოპნიანცი

11. ვარდან ხანასორი

ილიაშენკო თითოეულის ბარათს გაეცნო; ზოგი უკვე გარდაცვლილი იყო, ზოგის ასაკი არ ემთხვეოდა ლაბაურის ჩვენებას. ბოლოს ექვს მათგანზე შეჩერდა. პორტრეტებიანი ბარათები გვერდიგვერდ დაალაგა მაგიდაზე და გაოცდა.

”წარმოუდგენელია! დაუჯერებელია! არა, ეს უბრალოდ დამთხვევაა და მეტი არაფერი!” _ გაიფიქრა ილიაშენკომ.

მაგიდაზე გაშლილი პორტრეტებიდან გამომძიებელს უღიმოდნენ მეეტლე ლაბურის მიერ აღწერილი ადამიანები.

”შესახედავად: ერთს 28 წელს მისცემდა კაცი, მეორეს _ 29-ს, მესამეს _ 32-ს, მეოთხეს _ 33-ს. ყველანი იყვნენ შავგვრემანები, ამასთან ორი წვერ-ულვაშს ატარებდა, დანარჩენები _ მხოლოდ ულვაშს. ერთს განსაკუთრებით პატარა ულვაში ჰქონდა.”

ამგვარ სწრაფ შედეგზე გამომძიებლები არც კი ოცნებობენ.

არმენ გაროს, დრასტამატ კანაიანის, ავეტის აგარონიანცის, არამ მანუკიანცის, გარეგინ ტერ-არუთუნიანცის და მურად საბასტაცის ასაკი და შესახედაობა ძალიან ჰგავდა ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილეთა

გამოძიებისთვის ცნობილ სიტყვიერ პორტრეტებს.

24 წლის დრასტამატ კანაიანი, 28 წლის არამ მანუკიანცი და 41 წლის ავეტის აგარონიანცი წვერ-ულვაშს ატარებდნენ.

33 წლის მურად საბასტაცის, 21 წლის გარეგინ ტერ-არუთუნიანცს და 35 წლის არმენ გაროს მხოლოდ ულვაშები ჰქონდათ და მათ შორის არმენ გაროს _ *განსაკუთრებით პატარა ულვაში.*

ნიკოლოზ ილიაშენკო გამოცდილი მეძებარი იყო; იცოდა, რომ ბუნებაში ასეთი სასწაულები არ ხდება. პირველი ემოციები მოთოკა და ბარათების შინაარს ჩაუღმავდა. მხოლოდ ეროვნულობის, ასაკის და წვერ-ულვაშის მიხედვით იდენტურობაზე ლაპარაკი არასერიოზული იყო, მაგრამ თუკი ამ ექვსი პორტრეტის ამოსაცნობად წარდგენის შემდეგ, ლაბაური ერთს მაინც დაადებდა ხელს, უკვე კარგი შედეგი იქნებოდა. სამწუხაროდ ილია ჭავჭავაძის მეეტლე ახლა ტფილისიდან შორს, დუშეთის ციხეში იჯდა. ხვალამდე ეს საქმე ვერ მოგვარდებოდა.

ილიაშენკომ ეჭვმიტანილთა ფოტოასლების დამზადების თხოვნით ჟანდარმერიის შეფის სახელზე დაწერილი განცხადება მის

თანაშემწეს დაუტოვა და სამსახურში გაიქცა. საგურამოში მივლინების შედეგად მიღებული ცნობები დღესვე უნდა მიეწოდებინა მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების უფროს პოლკოვნიკ ბაბუშკინისთვის. იქიდან კი მოხსენებითი ბარათი ვორონცოვ-დაშკოვის მაგიდაზე დაიდებოდა. ამგვარი საგანგებო რეჟიმი საგანგებო მდგომარეობით იყო განპირობებული.

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო საბჭოს წევრებს ყოველდღე არ კლავდნენ.

***

მეორე დილით სამსახურში მისულ სასამართლოს მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ ნიკოლოზ ილიაშენკოს სადარბაზოსთან ტფილისის პოლიციეი-მაისტერის საგამოძიებო ნაწილის გამგე, პრისტავის თანაშემწე ევტუშევსკი დახვდა და სახეგაბადრული მიესალმა;

- დილა მშვიდობისა.

- დილა მშვიდობისა, თუ ამას მშვიდობა ჰქვია. შენი აქ უთენია გამოჩენა და ეს განუმეორებელი ღიმილი ცუდად მაქვს

დაცდილი. _ მარჯვენა ხელი გაუწოდა ილიაშენკომ.

- ქედს ვიხრი შენი გამჭრიახობის და დახვეწილი ზრდილობის წინაშე. _ ხელი ჩამოართვა და მართლა წელში მოიხარა ევტუშევსკი. _ მაგრამ დღეს ნამდვილად ვერ გამოიცანი, მართლა კარგი ამბავი მოგიტანე.

- უშნოდ იკრიჭები, არ გიხდება. თქვი, რას მაწვალებ. შენი კარგი ამბავი რასაც ნიშნავს, გადასარევად ვიცი; აჰა, ჩემი შუბლი; მესროლე და გამათავე.

ევტუშევსკი და ილიაშენკო სტუდენტობის მეგობრები იყვნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ერთმანეთს შეხვდებოდნენ თუ არა, ახლანდელი ასაკი და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა მაშინათვე ავიწყდებოდათ და იმ ბედნიერი წლების გუნება-განწყობილებაზე დგებოდნენ.

- მართლა სულით და გულით გილოცავ.

- ჰე, მითხარი. ნუთუ შორეულ ბნელით მოცულ წარსულში რომელიმე მეძავთან ერთობლივი შვილი შეგვეძინა და ახლა გამოგეცხადა.

- კარგია ხუმრობის ხასიათზე ყოფნა. მიდი ახლავე, დროს ნუ კარგავ; სირბილით

ბაბუშკინთან. კაცი ისეა გახარებული, ჭკუაზე არაა საწყალი. სასწრაფოდ ამოვიდესო, შემოგითვალა. დაადექი, ესე იგი, ჭავჭავაძის მკვლელების კვალს. მშურს, გულწრფელად მშურს.

***

მეფისნაცვლის კანცელარიის გასაკუთრებული განყოფილების შეფის, პოლკოვნიკ ბაბუშკინის მისაღებში დიდხანს ალოდინეს მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ნიკოლოზ ილიაშენკო.

ბოლოს, როგორც იქნა, კაბინეტის კარი გაიღო: ბაბუშკინის ოთახიდან შავგვრემანი პოდპოლკოვნიკი გამოვიდა, იქაურობას თვალი მიმოავლო და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისკენ.

ილიაშენკომ იცნო.

ის კაცი მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო დავალებათა ოფიცერი კეტხუდოვი იყო. მას შავ კარდინალსაც ეძახდნენ.

კაბინეტიდან სახეალეწილმა პოლკოვნიკმა გამოყო თავი:

- შენ შემოდი! _ ხელით მიიხმო გამომძიებელი.

ილიაშენკო პოლკოვნიკის გამომეტყველებით მიხვდა, რომ თარსი ევტუშევსკი ამ დილითაც თარსი ევტუშევსკი იყო.

ბაბუშკინი სკამზე დაჯდა, მარჯვენა ხელი აღმართა და საჩვენებელი თითი ფურცელს დაარჭო:

- რა არის ეს? _ დაღლილი ხმით გამოუვიდა.

ილიაშენკომ მაგიდას დახედა. პოლკოვნიკის წინ მისი წუხანდელი მოხსენებითი ბარათი იდო.

- თუ არ ვცდები, ჩემი პატაკია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

- ცდები გამომძიებელო, თანაც მწარედ ცდები. აბა კარგად დააკვირდი, ვინ არიან ესენი. _ ახლა ფურცელს დაავლო ხელი და ილიაშენკოსკენ შეატრიალა.

- სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირები. _ გამომძიებელმა შეამჩნია, რომ მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათზე ვიღაცას ფანქრით მინაწერები გაუკეთებია.

- ვინ არის, გამომძიებელო ილიაშენკო, მკვლელი? ავეტის აგარონიანცია მკვლელი? _ პოლკოვნიკმა წამით ფურცელს დახედა და ისევ ილიაშენკოს მიუბრუნდა. _ ლოზანას და სორბონის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი, ყოფილი გაზეთის რედაქტორი, მწერალი, ტფილისში ნერსესიანცის სკოლის დირექტორი ავეტის აგარონიანცია მკვლელი? იცი თუ არა, რომ ეს კაცი ახლა ჰოლანდიაშია მშვიდობის კონგრესზე? შენ კიდევ მიმტკიცებ, იქიდან მოკლა ჭავჭავაძეო.

- თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მე არაფერს გიმტკიცებთ. უბრალოდ მოგაწოდეთ სია იმ ადამიანებისა, ვინც ამოსაცნობად უნდა წარვუდგინოთ ბრალდებულს და მკვლელობის ჯერჯერობით ერთადერთ მოწმე თედო ლაბაურს. ეს ჩვეულებრივი საგამოძიებო პროცედურაა და მეტი არაფერი. რაც შეეხება ავეტის აგარონიანცს. თუ იგი ასეთი ანგელოზია, არც ამაში ვხედავ გამოძიებისთვის რაიმე ცუდს. პირიქით კარგიც კია. დავუშვათ, მის პორტრეტს დაადო ხელი მოწმემ. მაშინ გვეცოდინება, რომ მისი ნდობა არ შეიძლება და .., უკაცრავად, მეც რას გიხსნით, თითქოს თქვენ ჩემზე უკეთ არ იცოდეთ მთელი ეს პროცესი.

- მაშ ასე, გამომძიებელო ილიაშენკო, პატარა ბავშვი არც მე ვარ და არც შენ. ჩვენი საქმეა მკვლელობის საქმის გამოძიება და არა კავკასიაში ისედაც დაძაბული სიტუაციის კიდევ უფრო არევ-დარევა. ხომ ხედავ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობას რა რეაქცია მოჰყვა. ხალხი აღშფოთებულია. განსაკუთრებით ქართველები ღელავენ. ახლა მათ ყურამდე თუ მიაღწია შენმა ვერსიამ თავდასხმაში სომხების მონაწილეობის შესახებ, აქ სომხურ-ქართული ფრონტი გაიხსნება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. სომხურ-თათრულმა დაპირისპირებამ რა შედეგიც გამოიღო, კარგად მოგეხსენება. ამ რთულ სიტუაციში, ჩემო ნიკოლოზ, სიფრთხილეა საჭირო. _ უკვე ლამის მამაშვილურ ტონზე ჩამოვიდა პოლკოვნიკი, _ დამეთანხმები, საგამოძიებო ექსპერიმენტებისთვის მერეც მოვიცლით. ცოტა მოითმინე, დრო გავიდეს. მანამდე სხვა ვერსიებზე იმუშავე და ვინ იცის, იქნებ ეს სომხები სულაც არაფერ შუაში არიან. ასეა, ჩემო კარგო, ცნობილი გამოთქმა "არ ავნო" ხომ გაგიგია? ეგ მარტო ექიმებს კი არ ეხება ...

***

ფრთხილი და გონიერი კაცი იყო პოლკოვნიკი ბაბუშკინი;

არანაკლები ჭკუა ჰქონდა ნიკოლოზ ილიაშენკოს.

პოლკოვნიკმა გამომძიებელი კარებამდე მიაცილა, ხელში ფურცელი მიაჩეჩა;

- ეს პეტებურგში გაგზავნილი ოფიციალური დეპეშის ასლია. საქმეში ჩააკარი.

დამშვიდობებისას ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს; გამომძიებელი ოთახიდან გავიდა, მერე უცებ შემოტრიალდა:

- თქვენო მაღალკეთილშობილებავ, წეღან ცნობილი "არ ავნო" ახსენეთ. ექიმებს, მაგ გამოთქმის გარდა, ფიციც აქვთ; "ჰიპოკრატეს ფიცს" ეძახიან. არც სამართალდამცავებს გვაწყენდა მსგავსი რამ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. თუ ეგ ავეტის აგარონიანცი ასეთი ციური ანგელოზია, შეახსენეთ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ჟანდარმერიის განყოფილებას, არასაიმედო ადამიანთა კარტოთეკიდან ამოიღონ მისი ბარათი. დანარჩენებზე არაფერს ვამბობ, იყვნენ სიაში; რა იცი, რა ხდება.

ეტყობა, ევტუშევსკის თარს ფეხს ყავლი არ გასვლოდა და ილიაშენკო ისევ შარს ეძებდა.

შარი კი ნეტარებდა; ბაბუშკინი სხვების გადარწმუნების თავის ნიჭის შედეგით

ტკბებოდა და ილიაშენკოს ირონია არც შეუმჩნევია.

წარმატებები აბრმავებს და აყრუებს ადამიანს.

ქუჩაში გასულმა ილიაშენკომ ღრმად ამოისუნთქა, ბაბუშკინის მოცემულ ფურცელს დახედა და ზედ დაბეჭდილი დეპეშის ტექსტი წაიკითხა:

1907 წლის 1 სექტემბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო კანცელარია

30 აგვისტოს დაახლოებით დღის 12 საათზე დუშეთის მაზრაში საგურამოდან ოთხი ვერსის დაშორებით ოთხი ბოროტმოქმედის მიერ სროლოს შედეგად მოკლულნი არიან სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია. კონდახის თავში ჩარტყმით დაჭრილია თავადის ქალი. ყველანი გაძარცულები არიან. მიღებულია საგანგებო ზომები. სავარაუდოდ, თავადი მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით.

”მოდი და ნუ დაიჯერებ”. _ გაიფიქრა გამომძიებელმა ილიაშენკომ.

დაიჯერეს.

1909 წლის 11 ივნისს სასამართლოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე შვიდი ბრალდებული ჰყავდა:

1. ერმილე ლუკას ძე დოლიძე (თავდებშია)

2. გიორგი ივანეს ძე ხიზანიშვილი (მეტეხის ციხეშია)

3. თედო ზაქარიას ძე ლაბაური (მეტეხის ციხეშია)

4. გიგოლა ივანეს ძე მოძღვრიშვილი (მეტეხის ციხეშია)

5. პავლე გიორგის ძე ფშავლიშვილი (გარდაიცვალა)

6. ივანე სოლომონის ძე ინაშვილი (მეტეხის ციხეშია)

7. გიგოლა პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი (არ დაკითხულა, რადგანაც ძებნილია)

ამ შვიდიდან მხოლოდ პირველი არ იყო დეპეშაში ნახსენები *ადგილობრივი გლეხი.*

1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლოს პროცესზე დეპეშის ტექსტთან ეს შეუსაბამობა საბოლოოდ აღმოიფხვრა, გურული გლეხი დოლიძე ამოშალეს; მიცვალებული ფშავლიშვილი და დაუკითხავი ბერბიჭაშვილიც ამოიღეს სიიდან.

დეპეშის კანონიკური ტექსტის შესაბამისად, დარჩნენ მხოლოდ ოთხნი: ლაბაური, მოძღვრიშვილი, ხიზანიშვილი და ინაშვილი;

თუმცა პატარა იაღლიში სასამართლოს მდივანს მაინც მოუვიდა. 1909 წლის 10 აგვისტოს გიგოლა მოძღვრიშვილი ცოცხალი აღარ იყო. იგი 26 ივლისს გარდაიცვალა ციხის საავადმყოფოში.

1909 წლის 21 აგვისტოს ივანე ინაშვილი, თედო ლაბაური და გიორგი ხიზანიშვილი ჩამოახრჩვეს.

იმ დღეს ამ საქმისგან დიდი ხნის წინ ჩამოშორებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ ილიაშენკოს მიერ ილიას

მკვლელებს მიმსგავსებული ადამიანებიდან უმრავლესობა საღ-სალამათი იყო.

არც გიგოლა ბერბიჭაშვილი უჩიოდა ჯანმრთელობას და იყო თავისთვის; ხოლო თუ სად ბრძანდებოდა ეს კაცი მაშინ ან თუნდაც ილიას მკვლელობის დღეს, ამის დადგენას დრო დასჭირდება;

თანაც _ საკმაოდ დიდი დრო.

1941 წელი

თბილისი

საქართველოს სსრ, სსრკავშირი

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღიდან დიდი დრო გავიდა.

მხოლოდ:

1941 წლის 24 მაისს გამოიწერა ორდერი # 23;

მხოლოდ:

1941 წლის 24 მაისს მიიღეს დადგენილება გიორგი(გიგოლა) ბერბიჭაშვილისთვის აღკვეთის ზომის შეფარდების შესახებ;

მხოლოდ:

1941 წლის 24 მაისს მოაწერა ხელი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარმა რაფავამ დადგენილებას გიორგი(გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის დაპატიმრების შესახებ;

მხოლოდ:

1941 წლის 24 მაისითაა დათარიღებული გიორგი(გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის

სახელზე გაცემული ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;

მხოლოდ:

1941 წლის 24 მაისს გარიცხეს ბოლშევიკების პარტიიდან გიორგი(გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი.

- გამარჯობა.

- გაგიმარჯოს!

- მაპატიე, ასე შენდაუნებურად გათქმევინე სალამი. უბრალოდ სხვა გზა არ მქონდა. ახლა ძალიან გთხოვ, გააგრძელე კითხვა და ნუ შეცბები. ეს მართლა მე ვარ;

გიგოლა ვარ ბერბიჭაშვილი.

ხომ არაერთხელ გსმენია, თითქოს ვამაყობდი, რომ ამ ხელებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე? მერე ჩემზე ისიც თქვეს, ილიას მკვლელობის გამო პენსიის გაზრდა მოითხოვაო.

ტყუილია ეს ყველაფერი. უფრო მეტს გეტყვი, მკვლელობის დღეს, 1907 წლის 30 აგვისტოს, საქართველოდან ძალიან შორს ვიყავი:

მარტის თვის დამლევს, 1907 წელს, ჩავედი ბაქოში, სადაც გავიცანი ვალიკო ბაქრაძე, ზედმეტსახელად "ჟელეზა". ბაქრაძემ გამაცნო ერთი თათარი. იმ თათარმა გამაცნო ორი თათარი და მითხრა, ესენი სპარსეთში მიდიან და, თუ გინდა, გაყევიო. მეც გავყევი და

ჩავედი ჯულფაში. გზაში სიარულს 12 დღე მოვუნდით. სპარსეთში მივიღე მონაწილეობა აჯანყებულებთან ერთად შახსევანების წინააღმდეგ. როდესაც აჯანყებულები დამარცხდნენ, მე წავედი ძველად გადასახლებულ ქართველების სოფლებში, სადაც ვმუშაობდი მეურნეობაში 1917 წლამდე. 1917 წელს წამოვედი, გამოვყევი სოფლებს და 1919 წელს გამოვედი საზღვრამდე ისევ ჯულფაში, საიდანაც ხან ფეხით ვიარე, ხან ურმით და ჩამოვედი თბილისში 1919 წლის დეკემბრის ბოლოს …

***

- ზდრასტი, ”ცავატანემ”.

- ”ბარევძეს”, დრასტამატ.

- ერთი-ორი სმეშნოი სიტყვა მეც უნდა გითხრა …

1858 წელი

17 ივლისი

სოფელი ტირლიაევო, რუსეთის იმპერია

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მიმდა,

არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა …

არამედ მწყურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი
სული,

შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,

რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს
ლახვარი მკრან,

გთხოვდე: ”შეუნდე _ არ იციან, ღმერთო, რას
იქმან!”

ილია ჭავჭავაძე